

## გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ ენისა და სტილის საკითხები

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გიორგი ლეონიძე „ჩმა-ძალიანი“ შემოქმედია, „ბარბაროსული ენერგიით არის დამუხტული მისი ფრაზა“<sup>1</sup>; ახასიათებს „სიჭარბე, სიუხვე, სისაცე გრძნობების გამოყლავნებაში“<sup>2</sup>; მის მოთხრობებში „სიმძიმის ცენტრი პოეტურ სიტყვაზეა გადატანილი“<sup>3</sup>. ამასთანავე, შენიშნულია ისიც, რომ მას, როგორც შემოქმედს, „სავსებით გააზრებული და-მოკიდებულება ჰქონდა ენისადმი“<sup>4</sup>. ...და მართლაც, სულ რომ არაფერი ვთქვათ გ. ლეონიძის „ნამცვრევზე“, რომელშიც მწერლის ენათმეცნიერული დაკვირვებებია მოცემული, საგულისხმოა მისი გამონათქვამები, საზოგადოდ, მწერლის ენისა და, კერძოდ, საკუთარი ენისა და სტილის შესახებ.

გ. ლეონიძეს თავისი სიტყვის მთავარ წყაროდ... „გერ ხალ-ხის მეტყველება“ მიაჩნდა, მერე კი — „ენა ძველი ძეგლებისა“<sup>5</sup>. ამასთანავე, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვისა და ფრაზის გამოშესახველობას: „მე სიტყვას ფიზიკურად განვიცდი, ყონის-ვით ვიგებ, რომელ სიტყვას უდგას სისხლი, რომელია უსისხლო,

<sup>1</sup> თ. გვაჭანტირაძე, ხმაძალიანი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №4, 1984, გვ. 5.

<sup>2</sup> გ. ბარგველაშვილი, აღიდებული, დამწიფებული სიცოცხლის მეხოტბე, გიორგი ლეონიძე, საიუბილეო კრებული, 1970, გვ. 86.

<sup>3</sup> ს. ცაიშვილი, „გიორგი ლეონიძის პროზა“, გიორგი ლეონიძე, საიუბილეო კრებული, 1970, გვ. 86.

<sup>4</sup> ბ. ჭორბენაძე, შუბლადი სიტყვა ლეონიძისა, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №4, 1984, გვ. 90.

<sup>5</sup> გ. ლეონიძე, ენახოთ, დაღვინდეს მაჭარი (საუბარი სახალხო პოეტთან), „ოლე“ (შემდგრევული და ჩედაქტური იზა თრჯონიკიძე), 2000, გვ. 616.

მიმშექნარი<sup>1</sup>. შემოქმედს ნაკლად უთვლიდა „ცივი სიტყვების სიჭარებს“<sup>2</sup>; უკარდა „მუხლადი, ბედაური, მაძლარი სიტყვა“<sup>3</sup>, „ეგვიპტოდა უხეში სიტყვა, ადამიანის სულს ატლანების“<sup>4</sup>, ხმლო ტიციან ტაბიძეს საგანგებოდ გამოარჩევდა მისი სიტყვისა თუ ფრაზის უდიდესი პოეტური მუხტის გამო.

გიორგი ლეონიძის აზრით, ჰეშმარიტ მხატვრულ შემოქმედებას სახეებით მოაზროვნე მწერლები ქმნიან, რომელთაგან „ზოგი სმენის მხატვარია, ზოგი თვალის მხატვარი“<sup>5</sup>.

თავად გ. ლეონიძე მხოლოდ „სმენისა“ და „თვალის“ მხატვარი არ ყოფილა, იგი ხუთივე საცეკით“ არის სამყაროს დაწაფებული და მკითხველს არა მარტო ანახვებს და ასმენინებს მას, არამედ ხელსაც ახებინებს, გემოს ასინჯვინებს“<sup>6</sup>; შემოხვევითი არ იყო, რომ ზ. ჭუმბურიძემ ერთ-ერთ თავის ნარკვევში გიორგი ლეონიძის „დავიანებულ სადლეგრძელოს“ (იგივე „ღვინჯუა“) „პოეტური მოთხრობა“<sup>7</sup> უწოდა.

საგულისიხმოა, რომ ჭერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში გრ. კიკნაძე წერდა: „ვაეს შემდეგ, რაც გაცნობიერებულ იქნა მხედველობითს შეგრძნებაზე აღმოცენებულ სახეთა მხატვრული ლირებულება, ერთი ნაბიჯის გადადგმალა იყო საკმარისი, რათა იმავე მიზნისათვის სხვა შეგრძნებაც ყოფილიყო გამოყენებული... ყველაზე უფრო მკაფიოდ ამ ნაბიჯის მნიშვნელობა გამოხატულია გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში... გ. ლეონიძემ შეძლო ორიგინალური მხატვრული ხატების შექმნა იმ მონაცემთა მომარჯვების გზით, რომლებიც გემოსა და სუნის წი-

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, „ვნახოთ, დაღვინდეს მაჭარი“ (საუბარი სახალხო პოეტობი) „ოლე“, (შემდგვერებული და რედაქტორი იზა თრიკონიძე), 2000, გვ. 616.

იქვე, გვ. 618.

<sup>2</sup> გ. ლეონიძე, „ნატერის ხე“, 1980, გვ. 10.

<sup>3</sup> ნ. ლეონიძე, „მამაზუ“, გვ. 3. „ლიტერატურული საჭაროველო“, №23, 1993 (4.VI).

<sup>4</sup> გ. ლეონიძე, გ. ლეონიძის სიტყვა წარმოთქმული ტიციან ტაბიძის ხსოვნის საღამოზე კონსერვატორის დიდ დარბაზში 1961 წლის 6 მარტს, „ოლე“ (შემდგება და რედაქტორი ი. ორგონიძე), 2000, გვ. 602.

<sup>5</sup> გ. ლეონიძე, „ვნახოთ, დაღვინდეს მაჭარი“, დასხ. ნაშრ. გვ. 618.

<sup>6</sup> თ. კაჭანარიაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 5.

<sup>7</sup> ზ. ჭუმბურიძე, პოეტური მოთხრობა, სალიტერატურო ენა და შეკრლობა, 1962, გვ. 136.

აღში მოიპოვა<sup>1</sup>:

მართლაც, გ. ლეონიძის პროზაში, ისევე როგორც პოეზიაში, სამყარო არა მარტო კიზუალურად აღიქმება, მკითხველი ავტორთან ერთად არა მხოლოდ ხედავს, რომ „ატმის ქვეშ გარდისფერი თოვლი დევს“ (6,18), რომ ბრწყინავს „თოვლიანი ალმასით ანაპერწკლებული, ნაწური ვერცხლით მოსპეტილი გორები“ (131,15), არამედ ხმიანობს კიდეც. იჩველივ ნაცნობი მშობლიური ხმები ირჩევა: „ისევ მომესმის ჩვენი კალოს სევდიანი თოვევლა, საწინახლის სამაჭრე დარის შეჩრიალი, ჩვენი ბოსტნის მწვანილეულის ფშვინვიერება“ (6, 15), „ჩალების სისინი“ (7, 27) ამასთანავე, რაც საგანგებო ყურადღებას იქცევს, სამყარო დამათრობელ სუნსა და გემოს გამოსცემს. გ. ლეონიძეს „გასაშმაგებელი სისრულით ჰქონდა შეცნობილი საგანთა გემო“<sup>2</sup>. მკითხველი პერსონაჟებთან ერთად შეიგრძნობს აყვავებული ნუშისა და მსხლის ყვავილთა ფერფლით მომფრინავ ნიავს (54, 19), გაშლისა და კომშის საამო სურნელებას (95, 16), „თონიდან ამოვარდნილი თბილი პურის სუნსა და გემოს (95, 6), გემოს ქინძისა და შინდის ჩურჩით შეზავებული, წითელი ლობიობი... ზედ ცოტა ნიგრის წილიც (152, 8)...

მწერალი უფრო შორსაც მიღის, იგი ჰაერს, სიტყვას, ადამიანსაც კი უხინჯავს სუნსა და გემოს, მასთან ჩვეულებრივი ნოეიერი ჰაერის სურნელი (178, 1), ჰაერი შეღვინებული (267, 23), ან ჰაერი უგემური (196, 31)... სიტყვა კი — მოშაქრული, მოშარბათული (162, 11), თაფლერბოიანი (120, 4), ხოლო ქალი — სახეგემრიელი (111, 17) და ა. შ.

გიორგი ლეონიძის პროზა მღიდარია შინაგან განცდათა გამომხატველი ტროპებითაც, რომელთაც პირობითად შეგრძნებითი ვუწიდეთ.

სამყაროს, სულიერსაც და უსულოსაც, ისე წარმოსახავს ავტორი, რომ შესაბამისი განცდებით დამუხტოს მკითხველი. შლრ., ერთი მხრივ: გულზე ეკალდასხმული იღგა ფუფალა (32, 35).

და, მეორე მხრივ:

<sup>1</sup> გ. კინაძე, გიორგი ლეონიძის პოეტური სტილი, მეტყველების სტილის საკითხები, 1957, გვ. 295.

<sup>2</sup> რ. ინანიშვილი, დიდი მზის ჰაშნაგირი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №4, 1984, გვ. 155.

გულს უწერავდა გასრუსილი ბაგშვილა (107, 35), მისმა მსხმოიარე ტოტებში დაჩვლიტეს, დაკბინეს ჩემი ბაგშვური უზრუნველობა (18, 32).

შინაგან განცდათა გამომხატველ მხატვრულ სახეებში ხშირად იხმარება სიტყვა გული, რომელიც ან 1. შესიტყვების ერთ-ერთი კომპონენტია:

დანათრთვილარი გული მოუთბა (141, 21), ციციკორეს გულში ცხრა თონე იწვოდა (180, 27), კვნესოდა, კი არ მღეროდა ცანვალას შეთელილი გული (107, 30) ანდა 2. კომპოზიტის შემადგენელია ნაწილია:

კარგუნახავები გულდათოვლილები გმინავდნენ (103, 29), გულაზავთებული, გულდამსხვრეული, ცეცხლმოკიდებული ეძგერა ზირაქ მღვდელს (214, 34).

ბოლო მაგალითში ჩამოთვლილ კომპონიტებს შორის (გულაზავთებული, გულდამსხვრეული, ცეცხლმოკიდებული) უკანასკნელში სიტყვა გული არ მონაწილეობს, მაგრამ ექსპრესიულობა კიდევ უფრო იზრდება, რაღაც, ჭერ ერთი, ირლვევა გამეორება ფიქსირებული ფორმისა და, მეორეც, ავტორს გულის ნაცვლად არანაკლებ წონადი სიტყვა შეურჩევია — ცეცხლი.

მოყვანილ ნიმუშებში მხატვრულ სახეებს უმეტესად მსაზღვრელ-საზღვრულის შემცველი სინტაგმები ქმნიან (დანათრთვილარი გული მოუთბა... შეთელილი გული... კვნესოდა), სადაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ზმნა-შემასმენლის გამომსახველობა (მოუთბა... კვნესოდა). სხვა შემთხვევაში კი „გრძნობადს ხატებს“ პრედიკატული განსაზღვრებისა და ზმნა-შემასმენლის წყვილი ქმნის (გულდათოვლილები გმინავდნენ, გულაზავთებული, გულდამსხვრეული, ცეცხლმოკიდებული ეძგერა...), რაც მეტი დინამიკურობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა, რაღაც მსაზღვრელი სიტყვები უშუალოდ მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვასთან — ზმნა-შემასმენელთან ქმნიან სინტაგმებს.

ამ ოვალსაზრისით განსაკუთრებით ექსპრესიულია — ვით თანდებულიანი სახელები, რომლებიც გარკვეულ სინტაგმებში სხვადასხვა სახის ხატებს ქმნიან და ბადებენ როგორც მხედველობითს ეფექტებს (მზესუმზირებიგით თავზაქინდრულები ვისხვდით, 236, 12, ნამგალივით მოხრილი... ნათავადარი: 52, 6), ისე — სმენითს (მშობიარე დედაკაცივით მოჰკიოდა ყუმბარაო: 141, 19).

-ვით თანდებულიან სახელებს ხშირად თხრობაში გემოსი და სუნის შეგრძნებაც შემოაქვთ (ლიტრატი ისევ მდუღარე წყალი იდგა ნადუღარივით: 230, 23); „ყრმობისას დაკმეულ სურნელს“ აცოცხლებენ (სამასწლოვანი ფშატი, რთვილივით რომ ჩამოჰყრიდა ყვითელ ყვავილს... 6, 29), ანდა სხვა სახის შეგრძნებებით (სიძლიერე, სიწმინდე, მოღუნება თუ დეპრესია...) მსჭვალავენ მყითხველს. მაგალითად:

ქარიშხალი... ყოჩის რქასავით დაეტაკა ღვინჯუას (126, 16), სეტუვის ქარივით ეცემოდა (71, 23), კა იყო ნაზი და წმინდა ხივარულივით (83, 23). ძუნძგლი, ხანში შესული, დამკრთალი, შეხეტყვილი კაცი, დაღუნებული ხელებით, თოვლივით გაწყალებული გუნებით (151, 3) და სხვ.

გ. ღეონიძის პროზაში -ვით თანდებულიანი სახელი რამდენიმე პოზიციაში დასტურდება:

ა) აკონკრეტებს, მეტ სახიერებას ანიჭებს მსაზღვრელს, რომელიც მიმღებით ან ზედისართავითაა გადმოცემული. მაგალითად:

სუფრაზე აქა-იქ მოჩანდნენ მოსამაკალ თავთავივით თავდაშიმებული სტუმრები (120, 32), ქიშმიშივით დამჭკნარს და სარივით გამხმარს ან რაში ედგა სული (20, 6). ნაღმივით ავარდნილი, დამძლავრებული შხაბი მარგალიტს იტყორცნებოდა (230, 5). წვრილი, შამფურივით გამხდარი (112, 20), თუ ზღვასავით მდიდარი იყო, სხვას რად ედგა მოჯამაგირედ? (32, 10).

ბ) -ვით თანდებულიანი სახელი თავად გამოდის მსაზღვრელის როლში, რაღანაც მსაზღვრელი სიტყვა ელიპტირებულია, ელიფსის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ აღსანიშნი მუდმივად ერთნაირ ასოციაციის იწვევს ენობრივი კოლექტივის წევრის ფსიქიკაში<sup>1</sup> და მსაზღვრელი სიტყვა აღსანიშნის მუდმივ მახასიათებლად გვვლინება. მაგალითად:

ბუხრიდან ბროწეულივით ნაკვერჩხალი გადმოვარდა (106, 24). [ცხვირზე]... ქლიავივით მეჭეჭი ეყარა: (112, 21). ზოგან სვინტრივით ბალახი ამოხეთჭილა (84, 14). შეარყია ამ ცხადივით ჩვენებამ (230, 31). ყვითელი აბრეშუმივით თმა-კულული (186, 27) და ა. შ.

გ)-ვით თანდებულიანი სახელი მსაზღვრელ-საზღვრულის

<sup>1</sup> თ. კვაჭანტირაძე, მსგავსებითი შედარება ქართულში, 1978, გვ. 49.  
234

სინტაგმაში თავადაა საზღრული და თავის მსაზღრელთან ერთად ზმნა-შემასმენელს უკავშირდება. მაგალითად: ცხვირი მაძლის ბიბილოსგით გაღურებ-გასწილებოდა (112, 20), იორი ლაპლაპებდა ომში ამოღებული ხმალიგით (186, 21), ბროწეულის ყვავილიგით ჰყვაოდა მისი სილამაზე (185, 26) და ა. შ.

უკანასკნელად წარმოდგენილ ნიმუშებში მხატვრული სახეების ექსპრესიულობას ისიც აძლიერებს, რომ -ვით თანდებულიანი სახელი უშუალოდ ზმნას უკავშირდება, რაც გარკვეული პირობაა მისი დინამიკურობისა, აქტიურობისა და, მაშასადამე, ექსპრესიულობისაც.

ამასთანავე, ეს შედარებები ისე ბუნებრივადაა ჩაქსოვილი თხრობაში, თითქოს ერთადერთია და შეუცვლელი. მაგალითად:

სუფრაზე ცისარტყელასავით შემოელვარდა, შემობრიალდა პატარძალი დუდლუბა (104, 20), ხოლო დაუბატიუებელი ქათათა კი ქორიგით შემოვარდა, შემობრაცუნდა, ნაარყალი, გამტყვრალი... ღვინის აღმური ასდიოდა (112, 6).

ან კიდევ:

საცეკვაოდ გაწვეული დუდლუბა ხორბალიგით ტრიალებდა (116, 20), მგელხარი კი აძუნძულდა მწყემსურად, გვგონებოდა ზვავი ზანზარებსო (116, 27), თუმცა ბოლო წინადაღებაში შედარების ეფექტი -ვით თანდებულიან სახელთან არაა დაკავშირებული: შედარება ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადაღებითაა გამოხატული, რაც ასევე დამახასიათებელია გ. ლეონიძის სტილისთვის. მაგალითად:

ახლაც ისე მივარდა ღვინოს, თითქოს ნათმენი, მშიერი ხბო დედის ჭიქანზე მიუშვესო (113, 1)... როგორც მკერდს ჩაიკრავდით თქვენს ბალებს, ახლა ისე მიჰკერიხართ მშობელ მიწას (10, 5)... თამადა ისე გაჩუმებულიყო, გეგონება წისქვილს სათავე გადაუგდესო (117, 1), ისე გამოიღიძა ჭირვეულმა თამაღამ, გეგონება დაფეთებულმა ცხენმა საბელი გაგლიგაო (118, 21)...

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადაღებებით გამოხატული შედარებებიც ძალზე ბუნებრივი მხატვრული სახეებია, რომლებიც ბავშვობიდან შეძენილ შთაბეჭდილებებს ემყარება. ამასთანავე, ისიც ნათელია, რომ გიორგი ლეონიძის ენაში საგრძნობლად გა-

ფართოებულია „საგნის მხატვრული აღქმის საზღვრები“<sup>1</sup>. სწორედ ბუნებით მომადლებული ეს „მხატვრული სახეები“ განსაზღვრავს მწერლის ენისა და სტილის მთავარ თავისებურებას: მის პოეტურ ხედვას. აშკარაა, რომ გიორგი ლეონიძე სახეებით მოაზროვნე მწერალია და მისი უცნაური „ხმაძალიანობის“ ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორიც სწორედ ეს არის; და კიდევ: გიორგი ლეონიძის თხრობის „ამაღლებულობას“ ისიც განაპირობებს, რომ მისი მოთხრობების ენა რიტმული პროზის იშვიათი ნიმუშია, რაც თავისებურ პერსა და ლაზათს მატებს მის ფრაზას.

## I. რიტმულ-ინტონაციური და სინტაქსურ-სტილის რიკური თავისებურებები

### 1. რიტმულობა

გიორგი ლეონიძის მოთხრობები რიტმული პროზის იშვიათი ნიმუშია, რაც ჩვეულებრივი გზაა პოეზიდან პროზაში გადამსვლელი მწერლისათვის. ამას უცხოელებიც შენიშვნავდნენ. ბორის პოლევოი სწერდა: როცა პოეტი პროზას შეეჭიდება, პოეტიად ჩეხება... შენი მოთხრობების ციკლი ამის საუკეთესო მაგალითია<sup>2</sup>.

მართლაც, გიორგი ლეონიძის მოთხრობებში გვხვდება არა მხოლოდ რიტმული, გარითმული ფრაზებიც კი (უყვარდა ჭმეულობა, სმეულობა: 240, 26); გუგუნებდა სუფრა, ლულუნებდა ბუხარი: 111, 9).

თხრობის რიტმს ქმნის უმთავრესად:

ა) მხევაგს ბევრათა გამეორება (ალიტერაცია და ასონანსი);

მეორდება როგორც ფუძისეული ხმოვნები, ასევე მაწარმოებელი ელემენტები: იორი ჩვენი ემბაზი და ასპარეზი იყო — საბანაო, სათევზაო (17, 36). წვიმის წვეთები ცრემლებივით ცვიოდა (197, 3). იორში ჩამჩერარე გაროვებული ხევები აძ-

<sup>1</sup> ო. კვაჭანტირაძე, ხმაძალიანი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №4, 1984, გვ. 5.

<sup>2</sup> ბ. პოლევოი, უცხოელი მწერლები „ნატერის ხეზე“, 100 — გიორგი ლეონიძე, გამ. „ქართული უნივერსიტეტი“, 1999, გვ. 7.

ლიერებდნენ ზარსა ზრიალს, მდინარეს ესართებიან ქაფშე-ტყორცნით ეკვესტიან და ოლელვებულ მკერდს უჩიჩქოლებენ... (149, 30). ქარცივი აქროლდა, ცაში შემოწალიკდნენ წერონი (88, 13). ირგვლივ ჭანდი ბუღრაობდა, ქარი იღრინებოდა (122, 32). მტკიცებ გამოფიცული უცვალებელი ოცნება მაინც ცოცხლობდა ფორეს მკერდქვეშ (229, 13).

ძალიან ხშირია ერთგვარად ნაწარმოებ სიტყვათა მიჯრით გამეორება; ფუძისეული ხმოვნებისა და თანხმოვნების გარდა გამეორებულია მაწარმოებელი ელემენტები (-იან, -ებ, -ნა-ევ, ნა-არ, უ-ელ...).

ჩვენს შარაზე მიღი-მოდიან წარსულის აჩრდილები: ჩითის-კაბიანები, თავშალიანები, ფარავიანები, ტყაბუჭებიანი, ქალამ-ნებიანი (9, 12). რა უნდა წამოსცდენოდა ხეტია და ოლოლოს, თუ არა — ნაღარბაზევი, ნაპალატევი, ნაქალაქარი, ნაკოშარი, ნარუჟები, ნაოხები, ნალექები (211, 21). სუფრის მეორე ნახევარში დამცრობილი, უყოლელი, უქონელი, უპოვარი, უბარაქო გლეხები დამსრდარიყვნენ (101, 3) და სხვ.

უფრო რიტმულ-მუსიკალურია ფრაზა, როდესაც „მეორდება ზმნისწინები, რაღანაც ისინი, როგორც თავიდური ელემენტები, მახვილიან მარცვლებს წარმოადგენენ“<sup>1</sup>.

მიმღეობებში ზმნისწინთა გამეორებას ერწყმის მაწარმოებელ ელემენტთა გამეორებაც:

დაბრუნდა შინ ჩიჩებია მოტეხილი, მოხერებული, მომჩვარული (216, 31). ირგვლივ თითქოს დაოთხებული, დაგიუებული ცხენები ჭინვინებდნენ (224, 11). ციციყორე იყო სოფლის მზრუნველი, მომვლელი, მოჭირნახულე (158, 26), რა ბედენაა მოშაქრული, მოშარბათული სიტყვები! (162, 11), ჩვენი სოფლის გამგებელი და გამამხნევებელი (163, 21) და ა. შ.

კიდევ უფრო მეტი დინამიკურობა იგრძნობა, როდესაც ზმნისწინები ზმნის პირიან ფორმებში მეორდება:

დამძლავრებულმა ქარბუქმა შეაზავთა, შეაყელთა გაშფოთებული ლვინჭუა (126, 33), ნაკვერჩხალმა მოსუსხა, მოწვა, მოთუთქა პატარაძლის მზეტანი (111, 25), ბოლოს ლოგინში დაწვა, სულის დროშა დაკეცა, ჩუმად დნებოდა ჩაწვა, ჩიმუმლა (216,

<sup>1</sup> ელ. კოშორიძე, გამეორება გორგი ლეონიძის პროზაში, საქნათმეცნიერო ძეგლაში, IV, 1995, გვ. 141.

35), იმ ზეირთმა დიდი ხანია ჩაიქროლა, ჩაიგრიალა (7,8). დაამ-ხე, დაწვი, დაანარცხე ჩემი მტერი (34, 24). ვინ დაგვიტირებს, ვინ დაგვიჭდება გვერდით, ვინ დაგვაყრის ცრემლებს? (141, 3).

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, რომ გიორ-გი ლეონიძე არა მარტო სახეებით აზროვნებს, არამედ მისი ფრა-ზა რიტმულ-მუსიკალურიცაა. ჰეშმარიტად იგი „პოეტური ხედ-ვის შემოქმედია“<sup>1</sup>. ესეც არის მისი ხმაძალიანობის ერთ-ერთი პირობა.

### ბ) გამეორება, როგორც მხატვრული ხერხი

გიორგი ლეონიძის პოეტური სტილის განხილვისას გრიგოლ კიქნაძემ გამეორების მხატვრული ხერხი, ე. წ. ინაფორულობა, პოეტის ნაწარმოებთა შინაგან სტილისტიკურ ფაქტორად მიიჩნია<sup>2</sup>. მსგავსი სტილისტიკური ნიშანი განსაზღვრავს გიორგი ლეო-ნიძის პროზის ენასაც, რადგანაც აქაც გვხვდება არა მხოლოდ მსგავს ბევრათა გამეორება (ალიტერაცია და ასონანსი), არამედ გამეორება, როგორც მხატვრული ხერხი, როგორც მოვლენის ან რაიმე ნიშნის ემოციურ-ლოგიკური ხაზგასმის საშუალება<sup>3</sup>. კერძოდ, დასტურდება:

ა) იდენტური ან მსგავსი სიტყვების გამეორება ერთმანეთის გვერდით: რჩეულებში ამორჩეული (190, 39); გარჩიე ამო-გარჩიე (190, 7); ალქალა, ოქროქალა (39, 34) თავდერა, თავ-ქარა (245, 14). დღეობა და ღრეობა (191, 15); ენამძლე, ენაგეს-ლი, ენაქლარცი, ენამორბედი (27, 19).

ამ ტიპის გამეორებად ჩაითვლება ჯერ კიდევ ძველი ქარ-თულიდან ცნობილი პარონომაზიული გამოთქმები: „სიძულვი-ლით სძულდა“ (154, 18); „გზნებით ალიგზნებოდა“ (207, 11); „ნაზი სიყვარულით შეჰყვარებოდა“ (152, 32); „მოჰყივის ვე-ლური ყივილით“ (149, 24).

კიდევ უფრო ხშირია ცალკეული სიტყვის გამეორების ნი-

<sup>1</sup> ბ. ჭორბენაძე, მუხლიადი სიტყვა ლეონიძისა, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, IV, 1984, გვ. 90.

<sup>2</sup> გ. კიქნაძე, გიორგი ლეონიძის პოეტური სტილი, შეტყველების სტილის საკითხები, 1957, გვ. 284.

<sup>3</sup> ე. კოშრიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 149-151.

<sup>4</sup> Морен М. К., Тетерникова Н. Н., Стилистика французского языка, М., 1960, стр. 277.

მუშები. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია **მსაზღვრელი სიტყვის** გამეორება (პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხვოსნებული სხვაც ბევრი დადის ქვეყანაზე: 14, 29), ან **საზღვრულის** გამეორება (უწიუმრად იდგნენ ცივ-კუმბორის მთები, ჩემი მშობელი მთები: 186, 21). ან კიდევ: მომდევნო წინადადების დაწყება იმ სიტყვით, რომლითაც მთავრდება წინამაგალი: ემუდარებოლა თაყა თამადას. თამადას კი გული მოსდიოდა (116, 21). ...საყვედურით უთხრა მარიტას. მარიტას პირველად დაწვა გული (122, 28). თითქოს ჩვენს ეზოში ია შემოვიდა. შემოვიდა და შემოეფინა (186, 32).

ასეთი პაუზიანი გამეორება ქართული ზღაპრის ენას ახასიათებს<sup>1</sup>, ხოლო კლასიკურ მწერლობაში<sup>2</sup> — ილიას, მ. ჭავახიშვილს, რ. ინანიშვილს, და თ. ბიბილურს).

მსგავსი შემთხვევაა, როდესაც შერწყმული წინადადების შუაში მდგარი შემასმენლის პაუზიანი გამეორება გვაქვს:

მარიტას მშვენიერების სამზერად ხშირად მოდიოდნენ მეზობელ სოფლებიდან, მოდიოდნენ და უყურებდნენ (185, 18). დიდხანს ელოდა დიდი მოლოდინით დეიდა მაიკო თავის შვილს, ელოდა და დარღით დანაღვლიანებული, შავსახადშეყრილი ვანტანგს ზედ გადაჰყვა (144, 26).

მომდევნო წინადადების დაწყება წინა წინადადების შემასმენლის წინ მდგომი სიტყვით: ...გამოსცალა და თაყას მიაწოდა. თაყამ ჭურჭელს ძირი მოუმშრალა (118, 1). შემთხვევითი მუშტი მოხვდა გოგრაში, მუშტმა მოთლად გამოაფხიზლა (122, 3).

გამეორებული სიტყვა იქტიურდება, რაღვან მას ლოგიური მახვილი მოუდის. ამიტომ ლოგიურ-ინტონაციური თვალსაზრისით მას მეტი ძალა ენიჭება<sup>3</sup>.

<sup>1</sup> თ. უთურგაძე, ქ. გიურაშვილი, დ. ჩხეიბიანიშვილი, ფერეილნული მეტყველების შესწავლისათვის, იყ, XXI, 1979, გვ. 91.

<sup>2</sup> შ. აფრიდონიძე, ილიას სტილისთვის, ქსკ, IX, 1989, გვ. 63.

<sup>3</sup> ჭ. ჭუმბურიძე, არსენა მარაბდელი (ენობრივ-სტილისტიკური ეტიუდი), სალიტერატურო ენა და მწერლობა, 1962, გვ. 92.

ე. კოშორიძე, რ. ინანიშვილის ენის ზოგი თავისებურება, ქსკ, IV, 1981, გვ. 33.

ე. კოშორიძე, თამაზ ბიბილურის „წელიწადის დრონი“ (ენობრივ-სტილისტიკური ინალიზი), 1998, გვ. 259.

ს. გორგაძე, ქართული საღასიტყვაობა, 1915, გვ. 37.

ხშირად პირველი წინადაღების პირველი სიტყვა ანაფორულად მეორდება. მაგალითად, გამეორებულია არსებითი სახელი:

ქვეყანა უბატრონო ნუ გვონიათ, ქვეყანას ვიღაცა პატრონობს (178, 22). უფრო ხშირად მეორდება ზონა:

აგარდა სიყვარულის ალი! აგარდა და აგიზგიზდა! (193, 31); მიუვარს ვერცხლური ყვავილი, მზიანეთის სხივმფინარა აღნაკადი, მიუვარს მისი გულის ივებულობა! (184, 8); იცოდა, რომ უხვად იყო დასაჩუქრებული! იცოდა, აფასებდა, უფროთხილებოდა (186, 4).

გამეორებულ შემასმენლებს ხშირად და კავშირი აერთიანებს, ამგვარი კონსტრუქციები უფრო ექსპრესიულია, როდესაც წინადაღების თავში გვხვდება, მაგრამ გიორგი ლეონიძის პროზაში მისი ადგილი თავისიუფალია: თოვლმა განა ჩამოიკლო: ბარდიდა და ბარდიდა (126, 27). გახარებულმა ქარიშხალმა სამპირად წამოუშინა და წამოუშინა (128, 10)... მოსთქვამდა და მოსთქვამდა (203, 23).

ამგვარ გამეორებებს მრავალგზისობის შინაარსი შემოაქვთ თხრობაში, რაც თხრობის დინამიკურობას განაპირობებს. ამასთანავე, ამგვარი გამეორებანი ქართული ზღაპრის მკვიდრ ასოციაციებს ქმნიან, როგორც სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციები<sup>1</sup>.

### ბ) ფრაზათა და წინადაღაებათა გამეორება

ერთმანეთის სიახლოეს, ან საკმაოდ დაცილებულ აბზაცებში მეორდება ზუსტად ერთნაირი ფრაზები:

არა, არ მჯერა, რომ იყი სხვა ყვავილივით დაჭრეს როდისმე, ჩამოცვიდეს, განქარდეს, ამტვერდეს! არა, არ მჯერა! (184, 12);

### ან — მიმსგავსებული სინტაქსური კონსტრუქციები:

მე ხომ ის პატარა ბიჭი ვარ, იისფერთვალება, ყვითელქოჩირა, ლოყებატკრეცილი, თქვენს შორის რომ დავრჩოდი! მე ისა ვარ, თქვენს კევრზე რომ ვიზექი, თქვენი გუთნის საყევარის ულებზე, თქვენს ურემზე რომ დაგდევდით მინდორსა და ვენაპში!

<sup>1</sup> ე. კოშორიძე, ჩ. ინანიშვილის ენის ზოგი თვეისებურება, ქსკ, IV, 1981, გვ. 33.

დ. ჩხუბიანიშვილი, გამეორება დიალექტურ მეტყველებაში, დიალექტოლოგიური კრებული, 1991, გვ. 119.

მე ისა ვარ, წიგნებს რომ გიკითხავდით, თქვენგან რომ  
ვიწერდი შაირებს, გამოცანებს, სიძლერებს! (9, 17).

ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ამგვარი სტროფული გამეო-  
რებისა სათქმელის აზრობრივი მთლიანობის გამოკვეთა-გამკვეთ-  
რებაა, ე. ი. ხმაძლიანობაა.

ამგვარი გამეორებანი საქმაოდ დაცილებულ აბზაცებშიც  
ვვხვდება, საღაც ისინი სინტაქსურ პარალელიზმს ქმნიან ვრცელ  
პასაჟებში: აძლიერებენ, ამკვეთრებენ განწყობილებას, თვისებას  
და ა. შ. მაგალითად, გამოხატულია განწყობილება (ავტორის  
დამოკიდებულება „დიდი ხნის დამიწებული მეზობლებისა“ და  
თანასოფლელებისადმი — მონატრება).

— ამოდით, ამოდით ჩემხას აიგანზე. ნუ ვერიდებათ!  
ამოდით, აჩრდილებო, თამამად და თქვენი მძლავრი სიტყვით  
მომიყევით ყველაფერი... (9, 20).

იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, მსგავსი ფრაზით ახა-  
ლი აბზაცი იწყება.

— ამოდით, ამოდით, მეზობლებო, მეგობრებო! ვიცი  
აღარ ხართ, მაგრამ როდი წარეცხილხართ ჩემი გულიდან, ისევ  
მეცნაურებით (9, 26).

ცოტა ქვემოთ მესამე მსგავსი აბზაცია:

— ამოდით, ამოდით ჩემთან აიგანზე, მეგობრებო, მომა-  
გონეთ, შთამაგონეთ! (10, 11).

სტროფული პარალელიზმით გამოკვეთილია პერსონა-  
ჟის თვისება (კერძო: პატივმოყვარე ჩიკოტელას, რომელიც  
წარსულზე ოცნებით ცხოვრობდა და სოფლის სალაყბოზე  
„აზღაბრებდა“ წარსულს თავისი ცხოვრებისას, საამაყოდ და თავ-  
მოსაწონებლად უყვარდა თქმა: ეგრე კი ნუ მიყურებთ, ბიჭე-  
ბო!). აი, რამდენიმე პასაჟი მისი მონაყოლიდან:

ეგრე კი ნუ მიყურებთ, ბიჭებო! ყოველივე სახლში  
გვქონია: ხამი ტილო, მერლინი, ფარდაგი და ჯეფიმი სულ სახლში  
იქსოვებოდა. საპონსაც კი შინ ვხარშავდით, ზეთსაც შინ ვხდი-  
დით. არ ვინახავს ჩვენი ეზოს გელაზები? ალზევანშიც დავდენილ-  
ვართ მარილზე, სალიანშიც — თევზეულობაზე. ეგრე კი ნუ  
მიყურებთ, ბიჭებო! ჩვენს დერეფანში მარილის ქვის ყორები  
კოშკებიდ მდგარა. მარნის ბაქანზე ხიზილალისა და ყველ-ერბოს  
სავსე გუდები ელაგა! — გინდ დეიდა თავთუჩას ჰეითხეთ! ეგ

რომ პატარძალი მოუყვანიათ, პაპაჩეშს მაგის მაყრებისთვის სულ ხიზილალა უჭმევია თავმობმული ჯამებით. ეგრე კი ნუ მიყურებთ, ბიჭებო! ჩვენი ცხოვრება სულ დუღდა და გაღმოდიოდა... ჩვენ ჩვენი წილი სიმდიდრე გამოვიარეთ, დავხარჭეთ, არ გაუფრთხილდით და მიტომ ახლა არა გვაქვს არაფერი! მერე რა უყოთ... ეგრე კი ნუ მიყურებთ... და! (66, 33).

ამგვარ სტილისტიკურ ხერხს გიორგი ლეონიძე ბევრ მოთხოვაში იყენებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია „სოფლის შარაზე“, „თაღრია“, „ჩორეხი“, „ჟამპურა“!

### გ) ელიფსი

ელიფსი პოეტური ფიგურაა, სტილისტური ხერხია, როცა წინადაღებაში ამოღებული ან გამოტოვებულია ადვილად მისახურებული სიტყვა<sup>2</sup>. ამგვარ კონსტრუქციებს თავისებური ჩიტმი შემოაქვს ოხრობაში, ამიტომ იგი ჩიტმული პროზისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა. მას ხშირად მიმართავს კონსტანტინე გამსახურდია<sup>3</sup>, რევაზ ინანიშვილი<sup>4</sup> და სხვ.

გიორგი ლეონიძის მოთხოვაში ამგვარი კონსტრუქციებით ზოგჯერ მთელი პასაკებია ნაწერი, მაგალითად:

„ყალორი კი თავისას განაგრძობდა: ქვეყანას ოთხი რამ აკლია: ცას — კიბე, ზოვას — ხილი, ჭორს — შვილი და კაცს — სამართალი! წაიღეს ჩემი მამული! სამართალია? რომ მაგონდება ჩემი დიდი კალის ჭალა, შიგ მზის წვერიც რომ ვერ გაატანდა! ჩემი ურთხნალი! ან ჩემი კორიდეთის ტყე! რამდენ ირმის ჭოვს გადავყოლილვარ იქ, ან ჩემი მინდვრები, — რამდენ ჯეირნის ნახტომს გაუცდენივარ?“ (54, 22).

წარმოდგენილი მონაკვეთის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე წინადაღებებში გამოტოვებულია ზმნა აკლია, მომდევნო წინადაღებაში — ქვემდებარე, შემდეგ კი მთლიანად დამოკიდებული წინადაღებაა გამოტოვებული, რომელიც აღვილად ივარაუდება,

<sup>1</sup> ე. კოშორიძე, გამეორება გიორგი ლეონიძის პროზაში, საენაომეცნიერო ძიებანი, IV, 1995, გვ. 146-151.

<sup>2</sup> ა. ჭილაძა, რ. ჭილაძა, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, 1980, გვ. 80.

<sup>3</sup> ივე.

<sup>4</sup> ე. კოშორიძე, რ. ინანიშვილის ენის ზოგი თავისებურება, ქსკ, IV, 1981, გვ. 37.

(რომ წაიღეს ჩემი მამული!). ამის შემდეგ ყველა წინადადება ელიფსურია, რაღაც მთავარი და დამკიდებული წინადადებები გათიშულია და ცალ-ცალკე აღიქმება, გათიშულია ნამდვილი ელიფსური კონსტრუქციებით (ჩემი უთხნალი! ან ჩემი კორი-დეთის ტყე! ან ჩემი მინდვრები!), გამოტოვებულად ივარაუ-დება: რომ მაგონდება!

უფრო ხშირად ელიფსური კონსტრუქციები გვხვდება დია-ლოგებში, საიდანაც თითქმის უგლებელყოფილია კითხვა-შიგების ფორმულები: ამბობდა, ჰყითხა, უთხრა, უპასუხა, თქვა და ა. შ. მაგალითად:

— რა ჰქენი, ელიოზ, ვერ იპოვე შენი ნატვრის ხე? — შეე-კითხებოდნენ ღიმილით.

— ვერა, მაგრამ ვნახავ!

— ტყეში რომ გვივა, რომ ბაბანებ და თრთი ამ ფიტხელ სიცივეში?

— მაშ როგორ გინდა, შე ოჯახშენებულო? (13, 34 — 14, 4).

პირველ წინადადებაში (ელიოზისადმი მიმართვაში) გამო-ტოვებულია ქვემდებარე, ელიოზის პასუხში — შემასმენელი — ვნახე და პირდ. დამატება — ნატვრის ხე, აგრეთვე — ქვემდე-ბარე-შემასმენელი: უპასუხა ელიოზმა, ხოლო მეორე პასუხში მოთლად ფრაზაა გამოტოვებული, მაგრამ იგულისხმება („არც შე-მცირდეს?”).

გიორგი ლეონიძის ენაში ხშირია ასეთი ელიფსური კონ-სტრუქციები მონოლოგურ თხრობაშიც, როდესაც ივტორი ან პერსონაჟი ვინმეს ან რამეს იგონებს. მაგალითად:

„უყვარდა კაკლის მჭამელი ტარბი, — ადამიანს ეხმარებაო, წაბლია ხარი გლერის ძმააო! ჭიანჭველის გორალას დააცქერდე-ბოდა: ერთ დღეს ცოცხლობს ჭიანჭველა და ექვსი თვის ცხოვ-რებისთვის ცდილობსო!

გულუბრყვილო შემოცქერა იცოდა — გამომცინარი თვა-ლებით.

აჭრილი ვაზის აკიდოს ჰყოცნიდა; თურაშაული ვაშლი შუ-ჭით გულს უნათებდა, ჭირნახულს აღმერთებდა, — ჭირნახული წმინდააო, მართლაც ჭირნახულიაო! ნიავწვრილზე პირსიცილი მოსდიოდა: — ეგრე შემოუქროლე, ნიავო, არ დაიღალო... (48, 28).

მოცემულ მონაკვეთში ქვემდებარე არ არის დასახელებული

(ივარაუდება, რომ მთხრობელმა იგი მხოლოდ ერთხელ დასახელა) და ყველგან გამოტოვებულია „მეტყველება წრის“ ზმა-შემასმენლები: „ამბობდა“, „იტყოდა“, „ეუბნებოდა“ და ა.შ.

როგორც ჩანს, ელიფსურ კონსტრუქციებში გამოტოვებულია ადვილად სავარაუდებელი სიტყვები, მაგრამ ამგვარი გამოტოვება გაუგებრიობას არ იწვევს. ფრაზა უფრო მარტივია, ლაკონიური, ხოლო მონათხრობი — მსუბუქი.

ამასთანავე, ელიფსური კონსტრუქციები ერთ-ერთი დამახა-სიათებელი ნიშანია გიორგი ლეონიძის ენის სიახლოვისა ხალხურ მეტყველებასთან<sup>1</sup>.

## 2. ინტონაციური თავისებურებანი

გიორგი ლეონიძის ენა მრავალფეროვანია ინტონაციური თვალსაზრისითაც. ერთმანეთს ენაცვლება მონოლოგური თხრობა და ცოცხალი, იუმორით სასხე დიალოგები, აგრეთვე — წარმოსახვითი დიალოგი, ე. წ. დიალოგიზებული თხრობა.

მონოლოგური თხრობა უფრო დრამატული შინაარსის გადმოცემისას გვხვდება. ყოველი ახალი აზრი აშშაცით იწყება და გრაფიკულადაც დიალოგის ფორმა აქვს (თუმცა კი მონოლოგია!).

მაგალითად:

— პაპის პაპაჩემი — შერმაზანი დარბაზბატონი მთელი კანეთის პატრიონი ყოფილა და მე ერთი მთა აღარ მეკუთვნოდეს? და მისი ბალახი?

— პაპაჩემ ჭანზურაბს მეჩინიბე ცალკე ჰყოლია, მეაბჭრე და პირის მეღვინე ცალკე და მე ამ ფამუარა ბალახის მეტს ხომ არ ვთხოულობ?

— მამაჩემის, ამილლაბარის სუფრაზე ყოველდღე თითო ძროხა იკვლებოდა და მე ხომ სამთო საბალახეზე მეტს არ გთხოვთ?

— აბა მაშინ კაი ბიჭები ვიყავით, როცა დიდ ომებში ჩვენი გვარის მედგარი ძახილი გაისმოდა: „დაპეარ, დაპეარი!“

— და მე ვისთვის რა დამიშვებია, ყველასთვის ძმა ვიყავ და მეგოარი, ნათელ-მირონი, მეზობელი და გულის მოკეთე. ეს

<sup>1</sup> ლ. კვანტაბლიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი, „მეცნიერება“, 1990, გვ. 7-24.

რა დროება მოდის! სინდისი დაიმარხა, ზრდილობა და პატივის-ცემა გაქრა, მაშ საქართველოც ხომ დაიღუპა, მითხარ, ყმაწვილო, შენ გენაცვალე! — დაეინებულად მიცეკეროდა ყადორი და ჩემგან ელოდა თავისი სიტყვის დადასტურებას.

(პასუხი არ ჩანს და მონოლოგი გრძელდება)

— პირახსნით და გულახსნით მინდა გელაპარაკო: მე ბედს ვემორჩილები, არ ვიტყვი კბილი კბილის წილ! — დამდაბლებული ღიმილით მეუბნებოდა ყადორი — ან რას მეტყვის კარგს აღულებული გუნება? მაგრამ გული მტკივა! მეც ხომ ძეხორციელი ვარ, მეც ხომ მინდა არსებობა (53, 30-54.1).

წარმოდგენილ მონოლოგში მღელვარებისა და შინაგანი განცდების გამოსახატავად კითხვითი და ძახილის წინაღადებებია მომარჯვებული, ე. წ. რიტორიკული შეძახილი (აბა, მაშინ კაი ბიჭები ვიყავით, როცა დიდ ომებში ჩვენი გვარის მედგარი ძახილი გაისმოდა დაჰკარ! დაჰკარი! ან კიდევ: ეს რა დროება მოდის! ან: მეც ხომ ძეხორციელი ვარ, მეც ხომ მინდა არსებობა?), აგრეთვე — რიტორიკული მიმართვა (სინდისი დაიმარხა, ზრდილობა და პატივისცემა გაქრა, მაშ საქართველოც ხომ დაიღუპა, მითხარ, ყმაწვილო, შენ გენაცვალე!), რომელიც რიტორიკული შეკითხვისაგან განსხვავებით, პასუხს საჭიროებს (დაეინებულად მიცეკეროდა ყადორი და ჩემგან ელოდა თავისი სიტყვის დადასტურებას”), თუმცა პასუხი არ ჩანს და მონოლოგი გრძელდება.

საგულისხმოა, რომ ავტორი საკუთარი სახელებითაც გამოარჩევს ყადორის წინაპრებს. ესენი არიან: შერმაზანი, განზურაბი, ამილდაბარი...

ცხოვრების უსამართლობით გულნატკენი ყადორის რიტორიკულ თხრობას (მონოლოგს) ყოვლდღიურობით გამწარებული ცოლ-ქმრის დიალოგი უპირაისპირდება, სავსე სასაუბრო სიტყვის მასალით, ხალხური ფრაზელოლოგიითა და წყევლის ფორმულებით. სოფლის ცხოვრების ამსახველ ამ დიალოგებში, რომლებშიც მოქმედ პირებად უქონელი, უყოლელი, უბარაქო გლეხები არიან გამოყვანილნი (ძილუა, სამძილა, წიპრუა, მგელხარი, ქათათა, ჭამპურა და სხვ.), ფრაზელოლოგიაც შესაფერისია:

„თითქოს ახლაც ჩამესმის ყურში ცოლ-ქმრის შეჭავახება:  
— ადე, კაცო, ადე! გეყოფა, ძილუა, არ გამოსკვი ძილითა?

— თავი დამანებე, დედაქაცო! ჩას იღერლები ძალლივითა! — და უფრო იყუშავდა საბანს. წევს თაღრიდ და თან ფიქრობს თვალდაზუშული.

— ავდგე, თორემ ვაზით დაგრაგნილი ზვარი არ მელოდეს, ხარის ენის ტოლა ვენახი მიგდია ჩაღაც; იმას შენც ეყოფი, რა უნდა ვიმუშაო გამოღალულ, გამოფიტულ მიწაზე!

— ავდგე, თორემ გამართული გუთანი არ მიცდიდეს, შებმული ურემი, ცხვრის ფარა, ნახირი შორაქანზე არ მყავდეს გასარეკი და ცხენის ჭოვი, ღორის კოლტი მოსავლელად!

— ავდგე, თორემ მამა-პაპის ზედაშე არ მელოდეს და ხიზილალის შეჭამანდი არ დამიდგან წინ. ამ ჭილობის ძველაზე მეტი რა მაბადია? ამისთვის ავდგე?

— ადე, თავხმელო, ცისკარი გაღავიდა!

— ადე, მთელი ქვეყანა სარჩოთი აივსო, — არა ცხრებოდა ცოლი, თუმცა მხოლოდ ჯერ ცისკრის ციალი კრთოდა ცაზე.

— შე ძუძუნაწყვეტო, რას მისძარ-მოსძარი ხმელეთი? დედამიწა შეიზნიქა შენი ჰყვირილით!

ადექი, შე დევერხანა, მარტო ამ ჩვენი დერეფნის მერცხლისა მრცხვენია, რას იტყვის ჩვენს სიღარიბეზე.

— ადე, ხაცაა მზე ამოვიდა!

მაშინ კი იფეთქებდა თაღრიდა. თითქოს კლდემ გახუვლაო.

— დედაყაცო, მე ვინა ვარ, მზეს ავუსტრო! ჯერ მზე უნდა ამობრძანდეს, მერე მე ავეთრიო!

ეტყობი, ამ ყოვლისშემძლე დასაბუთებას ვერ უძლებდა თოთოლა და ისიც მცირე ხნით თავს მიანებებდა ქმარს, ჩომელიც ახლა საამო ნეტარყუჩობაში წავიდოდა.

მაგრამ მცირე ხანში ისევ ისე დაიწყებდა:

— ადე, შე გასაციიებელო (ვ. 21,34-22)

მოვანილ დიალოგში უპირველესად თვალში საცემია გამეორების ეფექტი. ერთი მხრივ: ადე, კაცო, ადე! ადე, თავხმელო... ადე, მთელი ქვეყანა სარჩოთი აივსო... მეორე მხრივ: ავდგე, თორემ ვაზით... ავდგე, თორემ გამართული გუთანი... ავდგე, თორემ მამა-პაპის ზედაშე..., რაც განწყობილების სტაბილურობას ემსახურება და ამასანავე ხალხური სასაუბრო მეტყველების ნიშნითაა დაღდასმული. აღნიშნულ დიალოგს ხალხური მეტყველების იერს ანიჭებს აგრეთვე სასაუბრო სიტყვის მასალა

(არ გამოსცხვი ძილითა? ხარის ენის ტოლა ვენახი, რას იღერღები ძაღლივითა) და მიმართვის ფორმები (ადე, კაცო... თავი დამანებე, დედაკაცო!.. ადე, თავხმელო... ადე, შე გასაციებელო... შე, ძუძუნაწყვეტო...), მეტსახელი ძილუა და ა. შ.

ზოგჯერ ჩვეულებრივ დიალოგს ენაცვლება წარმოსახვითი დიალოგი (პერსონაჟის საუბარი საქუთარ თავთან), რითაც ავტორს ჩატარდება იუმორის შემოაქვს თხრობაში. „ნახევრად ბურანში მყოფ პატარძლის წინაშე იდგა თოვლითა და ჭირხლით შეხურბლული, შებორბლილი თოვლის ყორე, რომელიც... ადამიანივით ლაპარაკობდა. პატარძალი შიშისაგან იქვე ჩაიკეცა.

— ნუ გვშინიან, ჩემო დაო, ენვეწებოდა დაფეთებულს თოვლის ყორე და თან ზეზე აყენებდა.

— არა, მითხარი, მართლა ვინა ხარ? — ეკითხებოდა ვონს მოსული გულგადაფერებული ქალი; — მაში ავი სული არა ხარ?

— ღვინჯუა ვარ, შენი ჭირიმე, თქვენი ნათლია! ჩემი ცოდვით საყველაწმინდო დამვიწყებია, მახარეს გორიდან დავბრუნდი, ძნელია ღვთის ვალი, ეგებ ან ჯამი, ან რქა გამომიწოდო, რომ ჩემი ვალი მოვიხადო!

— გენაცვათ, ეს რა მსუნავი ყოფილა, საიდამ სად წამოსულა ერთი ჯამი ღვინის გულისხმის! — გაიელვა გულში მონაცირეზე გაქარწყლებულმა დუდლუბამ და ორივე ერთად გამოუტანა, — რქაც და ჯამიც...

ღვინჯუა ეცა მწყურვალივით! ორივე სასმისი ხელიდან გამოგლიგა.

— აი, აგაშენა ღმერთმა! ახლა კი მოვიხდი ვალს ღვთისა და ქვეყნის წინაშე...

პატარძალი გაოცებული შეჰყურებდა, — ეს შეშმიში რასა როტავსო (129,ii-130,9).

არაიშვიათად თხრობას აცოცხლებს ყურადღების გასამახვილებლად ჩართული ლირიკული წიაღსვლები, ე.წ. ავტორისეული მიმართვები მკითხველისადმი: მკითხველთან კონტაქტის ყველაზე მარჯვე საშუალება — დიალოგიზებული მეტყველება, რომელშიაც ავტორი მიმართვის საშუალებებად იყენებს კითხვით წინადაღებებსა და II პირის ფორმებს, ან კითხვებს: იცით ვინ?

როგორ თუ ვინ?, იცით კი რა არის? და ა. შ. მაგალითად:

გიოცნებია ნუკრის თვალებზე? გუვარებია შერცხლიანი თვალები? ძვირფასი სახის დამარმარება? მარიტას სახე მართლაც სინათლე იყო. ბროწეულის ყვავილივით ჰყვაოდა მისი სილამაზე (185, 25).

ან ქიდევ:

სწორედ ამ ღრას, როცა მზემ უკანასკნელი სხივები ჩაწურა ჩასავლეთში, გამოჩნდა ივრიდან მომავალი, იცი ვინ? თვათონ მიხვდებით! (73, 8).

ზოგჯერ თითქოს მკითხველის შეკითხვაც ივარაუდება:

„და კიდევ ვინ? როგორ თუ ვინ? ჩემი ორი კარის მეზობელი — ჩირიკი და ჩიკოტელა!

— იცით კი რა არის ჩირიკი? ხომ გაგიგონიათ, — ყველა მიწვება, მოწვება, ჩირიკი ხეზე გაწვება!“ (63, 3).

აქ ავტორი გამოცანის ყაიდაზე აგებულ ფრაზას ჩაურთავს, რომელიც ახალი, განსხვავებული ვარიანტითაა მოწოდებული. შლრ. „ყველა მიწვება, მოწვება მასკუნტელა კუნტიაო!“.

ზოგჯერ ასეთ დიალოგში წარმოხახვითი მკითხველის პასუხი ივარაუდება, რაღაც კითხვას კონტრშეკითხვა მოჰყვება:

„— იცი, რა არის სამოყვრო ამინდი?

— არა?“ (გვ. 94).

ამას მოჰყვება სამოყვრო ამინდის განმარტება.

ყურადღების მობილიზაციისათვის ავტორი ხშირად გამეორების ხერხსაც მიმართავს:

იცით, რომ გამოცანებისა, შაირებისა და ანდაზების უმეტესობა ტყეშია გამოგონილი მწყემსებისა და მეხრეებისაგან, ხოლო სიმღერები კი მინდვრისაა, იცით!“

ან პირდაპირ აღრესატს ასახელებს (მიმართვის ობიექტს):

„რა იქმნენ, სად წავიდნენ ეს ალერსიანი სიტყვები, ძველად ათასმა მაიკომ რომ იცოდა საქართველოში?

რატომ აღარ ვალერსობთ დღეს ამ სიტყვებით... საღ გავიძრცვენით, ხომ ვეცივა უამსიტყვებოდ?

რატომ აღარ ესმით ეს ტებილქართული ჩვენს ბივშვებს, —

<sup>1</sup> ანდაზები, მახვილისტყვაობა, გამოცანები წიგნში: „ხალხური სიბრძნე“ ხუთ ტომად, ტ. V, 1965, გვ. 389.

## შვილებსა და შვილიშვილებს?

რატომ დაჟურგეს ჩვენმა ქალებმა ქართული სააღერსო სიტყვები? ნუთუ დაყრუვდნენ, მოკვდნენ, გადაშენდნენ ეს სიტყვები? ნუთუ ისე გახევდა ჩვენი გული, რომ ეს თბილი მდედრული სიტყვები აღარ არიან ჩვენთვის საჭირო, რად დაივიწყეს ისინი დღავანდელმა ქართველმა დედებმა? მე სწორედ მათ ხაგულისხმოდ გწერ ამას” (134, 25-135, 2).

მოყვანილი პასაჟი მხოლოდ იმით არ იქცევს ყურადღებას, რომ ავტორი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს ამგვარი სიტყვებისა თუ ფრაზებისადმი. ყურადღებას იქცევს იმითაც, თუ როგორ გამოხატავს მწერალი ამას.

მოთხოვობის ამ მონაცემთში განსაკუთრებით მახვილდება მკითხველის ყურადღება, რადგან ავტორი თხრობას განსხვავებული სტილით წარმართავს. მოყვანილი ადგილი ერთგვარი ლირიკული გადახვევაა, სადაც თვალში საცემია ფრაზების რიტორიკულობა. რიტორიკულია პირველივე წინადადებება: „რა იქმნენ, სად წავიდნენ ეს ალერსიანი სიტყვები, ძველად ათასმა მაიკომ რომ იცოდა საქართველოში?” ხოლო მომდევნო წინადადებებებში რიტორიკულობა ძლიერდება, რადგანაც წინადადებებში ჩნდება ეჭვის გამომხატველი ნაწილაკები<sup>1</sup>. ამ შემთხვევაში — ხომ, რატომ, ნუთუ, რად...

ზოგჯერ ავტორი წარმოთქმის ინტონაციასაც შეგვაგრძნობინებს (ხმოვნის გაგრძელებით!). მაგ.:

„— ყველა ვინმე კი არ გეგონოთ, ძველი გვარის ნაკვირტალია! — იტყოდა მისი ცოლი თებრი, რომელსაც ქმარი გადასძხებდა:

— შუშაბანდის გარდო-ო! (238, 14).

სიტყვის გამოსახვის ამგვარი გრაფიკული საშუალება მწერლის ხერხია მხედველობით ხატებთან და სმენით ეფექტებთან ერთად წარმოთქმის ინტონაციაც შეაგრძნობინონ მკითხველს. ამის შესანიშნავი ნიმუშია შემდეგი მაგალითიც:

„გადმოვდგებოდით ბალდები სოფლის ბექობზე, დავჭიმავდით ყელის ძარღვებს და დავიძახებდით: „კიკრიკიკოოო!”

ეს სწორედ ის ფრაზაა, რომელიც არა მარტო ვიზუალუ-

<sup>1</sup> შ. აფრიდონიძე, რიტორიკული კითხვები ქართულში: სტრუქტურა და გამოყენება, ქსეს, XI, 1998, გვ. 200.

რად აღიქმება, არამედ ბავშვობისდროინდელ ხმებსაც ამოატივ-ტივებს ადამიანის ცნობიერებაში.

ასე რომ, გიორგი ლეონიძის პროზა ინტონაციური თვალ-საზრისითაც მდიდარი და მრავალფეროვანია.

### 3. წინადადების ტიპები

არანაკლებ საინტერესოა ის, თუ რა სახის წინადადებებითაა ნაქსოვი გიორგი ლეონიძის პროზის ენა, როგორია გიორგი ლეონიძის წინადადება, ფრაზა, შესიტყვება.

გიორგი ლეონიძის ენაში ყველა სახის წინადადება გვხვდება (ზერთული კონსტრუქციების გამოყლებით). უპირატესობა ეძლევა მარტივსა და შერწყმულ წინადადებებს, რთული წინადადებების შემთხვევაში კი — თანწყობილს.

მოვყავს დრამატული სიტუაციის ამსახველი ერთი აღგილი „ნატერის ხის“ მოთხოვაბათა ციკლიდან:

„...ზიათხულის ნაცრისფერი დილა გათენდა, ნაწვიმარი, ნაცივარი. წუხანდელი წვიმის ღრუბლების ნაფლეთები კიდევ დახეტიალობდნენ ჩვენი სოფლის ცაზე; თითქოს ცაც იყო შეციებული, შეტალანებული, გამურული, ჰაერიც უგამური წუხანდელ ნაწვიმარზე. წვიმით მტვერგადარეცხილი ძეძვის ორღობე უფრო ჩაშავებულიყო, ჩუმი წვიმის წვეთები ცრემლებივით ცვიოდა.

დილააღრიან ყრუ გუგუნმა თუ ზრზენაშ გამომაღვიძა... ლოგინში ვნებივრობდი და ნათბილარს წამოდგომა მეზარებოდა... გუგუნი იზრდებოდა, ჩვენს სახლს უახლოვდებოდა...

მაშინდა ვეცი ფანჯარას...

ახლაც თმები მებურძგნება იმ სასტიკ სანახაობაზე.

სოფლის ბრძოლა უხმოდ მოდიოდა, ლვარმოდენით, ჩოჩქოლით, გაონავრებული, გაძალიანებული...

იღრენით ლელავდა ბრძო, მრისხანებდა, გმინავდა, ჟკვნესოდა, ჰბორევდა, თითქოს გულის ნალველს იწურავდა, ნიშნისმოგებით, უხმაუროდ ზეიმობდა.

პერანგა ქალი უკულმა შაესვათ ვირზე...

ახლაც მაგონდება იმ ქალის კუნთების თრთოლა. ეტყობოდა, სციოლდა და სტკიოლდა, სცხელოლდა და იგმირებოდა, ალბათ ენატრებოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი არსალ ჩანდა და მისი

ტანჯვა კი ძნელი იყო, ვითარცა სიკვდილი.

იმ წამს იგი ათქერ მოკვდა და ისევ ათქერ ძალით აცო-  
ცხლებდნენ!

მოშეავდათ სოფლის წამებული, თითქოს დედოფალი მო-  
შეავთო და მთელი სოფელი მისი ამაღლა გამნდარიყო.

თრთოლნენ ქალის ანგელოზური მხრები, ბრბო კი ტალახსა  
და საქონლის ფუნას ესროდა თეთრ პერანგზე, რომელსაც თან-  
დათან თავისი ფერი ეკარგებოდა.

არც ერთი ხმა...

არც ერთი შეძახილი... ეს იყო გასაკვირველი.

მაგრამ სიჩუმე საზარლად ხმაურობდა, ჩანჩქერივით გრია-  
ლებდა და თან იხვევდა ყველაფერსა და ყოველივეს.

წამებული ერთ წერტილს მისჩერებოდა, თითქოს იქით, სი-  
ცოცხლის გადაღმაა, და იმ წამის ტანჯვას არცა ჰერიძნობსო და  
უცბად, როცა მოსახვევში შეუხვია პროცესიამ, მაშინ ვიცანი ის  
ქალი!

ჩვენი მარიტა! მინაცრებული, გამტკნარებული. — მარიტა  
ყოფილიყო! მაისის გამონაყოფი მარიტა! (გვ. 196, 28-197, 32).

მოცემულ პასაქში 25 წინადადებაა. ექდან 10 მარტივია, 8  
— შერწყმული, 4 — თანწყობილი, 3 — შერეული სახისა. ჭარ-  
ბობს მარტივი წინადადება, მაგრამ მაინც შთაბეჭდილება ჩჩება,  
რომ შერწყმული წინადადება პირველობს, რაც იმით აიხსნება,  
რომ წინადადების ეს ტიპი, გარდა იმისა, რომ დამოუკიდებლად  
გვხვდება (მაგ.: „გუგუნი იზრდებოდა, ჩვენს სახლს უახლოვდებო-  
და“), ხშირად რთული წინადადების შემადგენელი ნაწილია (ვი-  
თარებით გარემოებით წინადადებაში მთავარია შერწყმული: „აღ-  
რენით ღელავდა ბრბო, მრისხანებდა, გმინავდა, ჰკვნესოდა,  
ჰბორგავდა, თითქოს გულის ნაღველს იწურავდა, ნიშნისმოგე-  
ბით, უხმაუროდ ზეიძობდა“); გვხვდება შერეული სახის  
რთულ წინადადებაშიც („ეტყობოდა, სციოდა და სტკიოდა,  
სცხელოდა და იგმირებოდა, ალბათ ენატრებოდა სიკვდილი,  
მაგრამ სიკვდილი არსად ჩანდა და მისი ტანჯვა კი ძნელი იყო,  
ვითარცა სიკვდილი“).

ამასთანავე, გოორგი ლეონიძის სტილისათვის დამახასიათე-  
ბელია ე. წ. შერწყმული განკერძოებანი (ზაფხულის ნაცრის-  
ფერი დილა გათენდა, ნაწვიმარი, ნაღვარი), რაც აგრეთვე აძლი-

ერებს ამგვარ შთაბეჭდილებას.

ისე რომ, შერწყმული წინადადება დამოუკიდებლად, შე-  
რწყმული წინადადება, როგორც რთული წინადადების ნაწილი,  
შერწყმული განკერძოებანი გიორგი ლეონიძის თხრობის სტი-  
ლით. ამასაც თავისი მიზეზები აქვს. შერწყმული წინადადება უფ-  
რო სისაგსით, მაძღრისად აღწერს ფაქტებსა და მოვლენებს,  
თუმცა შინაარსობრივად განსხვავებულ პასაჟებში ამავე მიზნისა-  
თვის წარმატებითაა გამოყენებული რთული თანწყობილი წინადა-  
დება.

ამ მხრივ გამოიჩინევა ა) ისეთი პარატაქსული კონ-  
სტრუქტიციები, რომლებშიც გაერთიანებულია სინონიმური  
შინაარსის წინადადებები რაიმე აზრის განსამტკიცებლად.

მაიკოს გულს ღამე გაუთენდა, დანათრთვილარი გუ-  
ლი მოუთბა, პირს შუქი ამოეფინა, მისი წილი მზე გან-  
ათდა” (141, 21).

ბ) ერთდროული მოქმედებებია აღწერილი (მაგ. ბუნე-  
ბის გამოღვიძების სურათი):

ცა ფირუზთვალა ბრწყინავს, ხე შუქით იბურება, ბა-  
ლახი ბიბინებს, სიო ცეკვავს ლერწმის წვერზე, ვერხვი  
ვერცხლურად შრიალებს, ცაცხვი სურნელობს, ჩქეფს და-  
ზვინული ტოტი მდინარისა, ბროლტანა ჩანჩქერი ბრია-  
ლებს ალმასური მტვერით. ამდგარა ძალა სიცოცხლის  
სულისა, სიცოცხლე მღერის (144, 10), სადაც ბოლო თანწყო-  
ბილი წინადადება (ამდგარა ძალა სიცოცხლის ძალისა, სი-  
ცოცხლე მღერის) დასკვნასავით აღიქმება.

მსგავსი ნიმუშია:

ახლა სხვა ცხოვრობს მაიკოს ეზოში, მაგრამ მაიკო-  
სეული ბოსტნის კვლები ისევ სიცოცხლით ხარობენ და  
საამოდ მფშინგარებენ. სიცოცხლე ერთი წამითაც არ  
შეწყვეტილა, არ დამარცხებულა, ცხოვრებაც ისევ მიდის  
თავისი გაწამაწით.

ისევ ბრწყინვალებს მწყაზარი, ვარდმოუენილი, სინა-  
ზიანი, ციაგიანი, გამომცინარი დილა; ისევ ხასხასებს და-  
წმენდილი ფოთოლი, ისევ ელვარებს გაშიშვლებული ტბა,  
დაცვარული მინდორი — როგორც ბავშვის ტუჩები, დე-  
დის რძეშეფრქვეული (145, 1).

აქ უკვე თანწყობილი წინადადების შემაღენელი ნაწილები უმეტესად შერწყმულია (და ერთი ქვეწყობილი წინადადებაც გვხვდება). წინადადებათა ტიპების ამგვარი შეფარდება ბუნებრივად მიგვაჩინა, რადგან შერწყმული წინადადება ყველაზე მეტად ესადაგება გიორგი ლეონიძის მხატვრული სტილის ძირითად თავისებურებას — ხმაძალიანობასა და სისავსეს, საგნებისა და მოვლენების ჭარბი ფერებით წარმოსახვას და რიტმულ-დინამიკურ თხრობას.

### ავტორი შერწყმული წინადადებებით

ა) დეტალურად აღწერს ყოფით სურათებს:

„ჩემთვის და ჩემი ძმებისთვის ნაზუქთან ერთად ცხვებოდა ბახილა, ბურის გუთანი, ბარები, წალდები, ცულები, ჭიგოები! მაგრამ უველაზე მეტად კი — ბურის ხმლები! გოგონებისთვის კი აცხობდნენ ბურის ჭარას, თითისტარს, ფურის ძუძუს, ქათმის კლანჭს“ (8, 33).

ასევე:

„ადღევრძელეს გლეხეცის უოველი საფიცარი: ღმერთი დაუსაწყისი, ცა-მზე, დედამიწა ულეველი, უშროესობი, ყანის მუხლი, ვაზის დედა, მებაღის ნობათი, ხარის ქედი, აკვის ფიცარი, წისქვილის დოლაბი, სიმინდის ფრჩილი, ახალნერგი, რქადანვეული ყოჩი, მინდვრის თარგი, აბრეშუმის ჭია, ქართვეხა ცხენი, ფუძნარი გუთანი და ხმალი!“ (105, 32).

აქ ერთგვარ წევრებად უმეტეს შემთხვევაში, ხალხური მეტყველებიდან კარგად ცნობილი შესიტყვებები, ორწევრა სიტყვათშეხამებები (ყანის მუხლი, ვაზის დედა, სიმინდის ფრჩილი და სხვ.) გვხვდება.

ბ) ახასიათებს პერსონაჟებს:

მაღალი, ქერა, აწითლებული, ამოგანგლული, მუდამ ანაფორაშემოკეცილი, სოფლის ამაოებაში გართული ქვრივი, ზირაქ მღვდელი, მეტად მიწიერი ადამიანი იყო, თუმცა სულის მხედრობას ეკუთვნოდა. მას წირვა-ლოცვისთვის არ ეცალა, ერთგულად მუშაობდა თავის საოჯახო საქმეებზე და სხვასაც ამუშავებდა თავის გასამდიდრებლად.

სად ეცალა გორგასლის ქვისათვის? — ჰყავდა მოქა-  
მაგირები, მწყემსები, მელორები, მეგოგები. პქნდა სა-  
კუთარი წისქვილი, ჰყავდა ცხვრის და ღორის ფარები,  
ვაჭრობდა ტყით, ჭონჭოლით, თაფლით, სანთლით, ბურით,  
ლვინით, სიმინდით... (215, 14).

ან ქილევ:

ბორგი, უსმინარი, აღმართი კაცი იყო ნვედია. ვის  
არ ახსოვს ჩვენს სოფელში უკეთური, გულდორდიანი,  
ღვარძლა, ჭინჭულიანი, ენიდან შხამის მდენი: შესახედავა-  
დაც ძნელი იყო: დამშხალული, შეკვამლული, ჩადრუბ-  
ლული, თანაც წყალდასხმულნაცრისფერი (41, 1).

ერთგვარი წევრები (უკანასკნელ მაგალითში — მსაზღვრე-  
ლები) არა მარტო სრულად და ყოველმხრივ ახასიათებენ სა-  
ზღვრულ სიტყვას, არამედ ძირითად ნიშან-თვისებასაც განამტკი-  
ცებენ (ერთი მხრივ: ბორგი, უსმინარი, აღმართი კაცი..., მეორე  
მხრივ: უკეთური, გულდორდიანი, ღვარძლა, ჭინჭულიანი,  
ენიდან შხამის მდენელი... აგრეთვე: დამშხალული, შეკვამ-  
ლული, ჩადრუბლული, თანაც წყალდასხმულნაცრისფერი...).

აშკარაა, რომ ერთგვარი წევრები არა მარტო ლექსიკურად  
წონადი, ექსპრესიულობით გამორჩეული სიტყვებია, არამედ სი-  
ნონიმურიც, რაც აზრის განმტკიცებისა და ე. წ. ხმაძალიანობის  
ერთ-ერთი მთავარი პირიბაა. ამასთან, ექსპრესიულობას ისიც  
აძლიერებს, რომ ხშირად საზღვრული სიტყვა ჩავარდნილია და  
მსაზღვრელები პარაფრაზის მნიშვნელობას იძენენ (უკეთური,  
გულდორდიანი, ღვარძლა, ჭინჭულიანი, ენიდან შხამის მდე-  
ნელი), რითაც უფრო ნათლად იკვეთება საგნის ან მოელენის  
მთავარი ნიშანი. ამის კარგი მაგალითია:

„ახლაც თვალწინ მიღვა — ზანგელა, დაგიშრულქოჩია-  
ნი, ჭიდათვალება, დაგეშილ მიმინოსავით ტანსწრაფი, ხე-  
ლუკრობელი, ერთი სიტყვით, სანდომობით საყვარელი, ჩემ-  
ზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იქნებოდა“ (80, 11).

ხშირად პარაფრაზით წარმოდგენილი წევრები სინონიმური  
მნიშვნელობისაა: განა ტყუილად უყვარდა გარჯა, წვართულობა  
სოფლის მერჯულეს, გამგებელსა და მეუფროსეს (158, 23). გა-  
ფაციცებით არიგებდა ციციკორე წილიწყვეტიას, დაბდურას,  
დონდლოჩიას (161, 20). თვითონ მშრომელი ვერ იტანდა ზარ-

მაცხ, მცონარს, უსაქმურს (161, 22).

კწადია, ამგვარი სინონიმური ლექსიკა აზრის განმტკიცებას ემსახურება. ამავე დანიშნულებით ძალზე ხშირია შერწყმული განკერძოებანი.

მაგალითად:

„თვალცუკრლი იყო შალია, თავგული, სხარტი, ლალი, გულზაგი, გიფმაჟი, გაშლილი გუნებისა, ამაყი, სამხედროსა-კენ მიმდრეცი, ტოლ-ამხანაგთა შორის სახელის მაძიებელი“ (80, 3).

ან კიდევ:

„ისევ ზეინივით მიაბიჯებდა ყინვით შეჯავშნული, მუხლადი ღვინჯუა, ასჯერ დაცემული, ასჯერვე წამომდგარი! გათოში-ლი, კრიჭაშეკრული, ყურებდაგლეგილი, დაოსებული, გამო-ძალული, გარეგანთხეული, გაჭირვების უუაზე მიმდგარი“ (126, 26).

ამგვარი მიმღეობური კონსტრუქციები უფრო ესადაგება გიორგი ლეონიძის რიტმულ-პოეტიკურ პროზას, საღაც ზმინისწინების (და-, გა-) რიტმულ გამეორებას ემატება მიმღეობათა მაწარმოებელი ელემენტების (-ილ-, -ულ-, -არ...) გამეორებაც.

ამასთან, განკერძოებული განსაზღვრების სემანტიკური წონა გაცილებით დიდია, ვიდრე ჩვეულებრივი განსაზღვრებისა: პაუზა და ინკერსია ხელს უწყობს, რომ სახასიათო ნიშანი უფრო გამოიკვეთოს;

ამოკლებს კიდეც წინადაღებას, ვინაიდან, ფაქტიურად, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადაღების ბადალია.

და კიდევ: პერსონაჟის მდგომარეობა ასე მრავალმხრივ, ვფიქრობთ, იმიტომაცაა დახასიათებული (ასჯერ დაცემული, ასჯერვე წამომდგარი, გათოშილი, კრიჭაშეკრული, ყურებდაგლეგილი, დაოსებული, გამოძალული, გარეგანთხეული), რომ ბოლოს ასე ხატოვნად ნათქვამი — „გაჭირვების უუაზე მიმდგარი“ (რომელიც დასკვნასაცით ამთავრებს წინადაღებას) — ყველას-თვის ნათელი და გასაგები იყოს.

<sup>1</sup> შ. აფრიდონიძე, ინვერსიის სტულისტური დანიშნულებისათვის (ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ მიგალითზე), თსუ შრომები, 134 (143), 1971, გვ. 66.

<sup>2</sup> ლ. კვაჭიათქ, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1977, გვ. 260.

ამგვარი ნიმუშები მრავლადაა გიორგი ლეონიძის ენაში, ხოლო მათი სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ მწერლისეული ფრაზა ძირითადად ხალხური მეტყველების წიაღიდანაა ნა-საზრდოები.

ამის დასაღასტურებლად უჩვე მასალას იძლევა ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ თავისებურებათა განხილვა.

## II. ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თავისებურებანი

ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ თავისებურებებში განვიხილავთ ორწევრა სიტყვათშეხამებებს, ხატოვან თქმებსა თუ იდიომურ გამოთქმებს, სასაუბრო სიტყვის მასალას, წყველისა და მოფერების ფორმულებს, ანდაზებსა და აფორისტულ თქმებს.

### 1. ორწევრა სიტყვათშეხამებანი

გიორგი ლეონიძის ენაში ყურადღებას იქცევს ორწევრა სი-ტყვათშეხამებანი, რომელთაც არ შეიძლება ერთგვარი კვალიფი-კაცია მიეცეს. ესენია, ერთი მხრივ, ბიბლიური ცნებების აღმიშვნელი, წიგნური გზით შემოსული გამოთქმები, რომლებიც იქა-იქ გვხვდება მოთხრობებში (მაგალითად: ზეცის იერუსალიმი — სამოთხე, ბიბლიური წინასწარმეტყველი — პირველმოწამე ქრისტიანები, სულის ცხონება — სულის ხსნა და ა. შ.) ხოლო, მეორე მხრივ — დიდი უმრავლესობა — ხალხური მეტყველები-დან შემოსული, ან ავტორისეული.

ხალხური მეტყველებიდან შემოსულ სიტყვათშეხამებათა რამდენიმე ჭილადი გამოიყოფა:

ა) ბუნებაში რეალურად არსებული საგნების დასა-ხელება, რომელთა აქტიური ხმარება ამ შესიტყვებათა დამკვიდრება — განმტკიცებას ნიშნავს. მაგალითად:

გაზის დედა (105, 34) — იგივე დედავაზი, რომლის რქასაც გადააწვენენ გასამრავლებლად.

ყანის მუხლი (105, 34) — ყანის ღეროს ის ნაწილი, საიდანაც თავთავი იწყება.

სიმინდის ფრჩხილი (105, 35) — სიმინდის მარცვლის ის ნაწილი,

რომლითაც მარცვალი მიმაგრებულია ქეჩეჩზე (ნაქუჩზე).

**ბიჭა ბატყანი** (136, 24) — დოლის დაწყებამდე მოგებული ბატყანი, აღრეულა, თამაში ბატყანი, რომელიც გაზაფხულზე კარგად მოღონიერებულია.

**კარგაღებული აღაპი** (304, 6) — სულის მოსახსენებელი სუფრა, რომელსაც მიწვეული სტუმრების გარდა შეიძლება დაესწროს ყველა გამოვლელ-გამომვლელი.

**ქარფეხა ცხენი** (79, 9) — ძლიერ სწრაფი, ფეხმარდი, ფეხმალი ცხენი.

**ჭოჭონეთის ქვა** (27, 6) — ლურჯი ფერის მინერალი, ლილაქვა.

**წმინდა ბური** (242, 24) — ხორბლის ლეპილისაგან გამომცვარი ბური (წმინდა, ფშ. ხორბალი).

**მებალის ნობათი** (69, 35) — მებალის მიერ მორთმეული ძლვენი (იგულისხმება ნილი და სხვა ბოსტნეული).

აგრეთვე: სამამულე რქა, აკვინის ფიცარი, წისქვილის დოლაბი, მინდვრის თარგი, ფუძნარი გუთანი, ხარის ქედი და ა. შ.

ბ) ორწევრა სიტყვათშეხამებები, რომლებიც დღეს თითქმის აღარ იხმარება, ან იშვიათად იხმარება, მაგრამ დადასტურებულია ხალხურ სიტყვიერებაში. მაგალითად: საწუთოს ჯამი (39, 5) — „როგორც გასახელებულ კაცს შეეფერება, ერთი საწუთოს ჯამში არ ჩაუხედია, თორემ სხვა ყველაფერი იციდა“.

შესიტყვება „საწუთოს ჯამი“ ქართულ ლექსიკონებში ვერსად დავადასტურეთ, მაგრამ დასტურდება ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში:

„თამარს უამბო დედამა, შვილო, სიზმარი ვნახეო,

საწუთოს ჯამში ჩავხედე, ქვეყანა დავინახეო,

შენ იყო მთელი ქვეყანა, შეგნებით შეინახეო“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიისტორიო სიტყვიერება (რედაქტორი გ. ლეონიძე), ტ. I, 1961, გვ. 79.

საწუთროს ჯამი<sup>1</sup> — ქვეყნის რების მაჩვენებელი ჯამია, რომელშიც მოჩანს სამყაროს ავიც და კარგიც.

პირის მეღვინე (53, 33) — „პაპა ჯანზურაბს მეჯინიბე ცალკე ჰეყოლია, პირის მეღვინე — ცალკე“.

„ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში“ დადასტურებულია ეს გამოთქმა და იქვეა ახსნილი: „თამარ დედოფალს ჰყავდა პირის მეღვინე (ღვინო ვისაც ებარა) და იქვე:

„ალუდი ალექსაური,

ზურაბ, რა კერძად მაგეჭცა.

მაგილა პირის მეღვინე,

თაოდ ცოცხალი გაგეჭცა“<sup>2</sup>.

მაშასადამე, პირის მეღვინე — 1. ვისაც ღვინო ებარა,  
2. ღვინის შემრჩევი, კაშაგირი.

ლიტრის კაცები (100, 36) — „ხარობდნენ ლიტრის კაცები, რომელთაც მსხვილი კისერიცა ჰქონდათ და მსხვილი სამამულე რქაც. ბელელი და ჭურმარანი სავსე“.

ლიტრის კაცი ანუ ლიტრიანი კაცი — შეძლებული გლეხები, რომლებიც ვალდებული იყვნენ ლიტრიანი საწყაოთი ეხადათ გადასახადი. ს. მგალობლიშვილისეულ განმარტებაში<sup>3</sup> ლიტრის კაცი და ლიტრიანი კაცი პარალელურად მოიხსენიება ისე რომ, მათი იდენტური მნიშვნელობა ეჭვს

<sup>1</sup> საწუთროს ჯამი — დებოდას, მოინის და სხვა სპარსული განმარტებითი ლექსიკონების მხედვით, არსებობს ირანის მითოლოგიური მეფის — ქიშშედის ჯამი, სოლეიმანის ფიალა ან სარკე, რომელშიც მოჩანს მთელი სამყაროს ავი და კარგი, ე. ი. საწუთროს ჯამი ქვეყნიერების მაჩვენებელი ჯამია, რომელშიაც შეიძლება შვილი ცის დანხევა, მთელი სამყაროს ჩილვა.

სუფიური (სუფიზმისაგან მომდინარე) გაგებით, ქვეყნის მაჩვენებელი ჯამი “ეწოდება სატროოს გულს, რომელშიც მოჩანს აქეარაც და ფარულიც (ზაღლიერებით აღვნიშვნავთ, რომ ცნობა მოგვაწოდა აწ განსვენებულმა პროფ. ალ. გვახარიამ)“.

<sup>2</sup> ქს. სიხარულიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 163.

<sup>3</sup> წიგნზე: „ხალხური სიბრძე“ (ზუთ ტომად, ტ. V, 1965, გვ. 524) დართულ ლექსიკონში განმარტებულია: „ლიტრიანი კაცი — შეძლებული გლეხები, რომლებიც ვალდებული იყვნენ ლიტრიანი საწყაოთი ეხადათ გადასახადი. „ფოსტის ფულის ასაკრეფად სოფელი განაწილებული იყო თვით სოფლელთაგან რომ კატეგორიად: ლიტრის კაცი, ნახევარლიტრის კაცი, ჩარექისა და ნახევარჩარექისა... ლიტრიანი კაცი ყველაზე შეძლებული იყო“ (ს. მგალობლიშვილი).

არ იწვევს.

მარაგიანი ლამე (254, 9) — „მარაგიანი ლამე იყო“. მცირედ მოღრუბლული, მაგრამ თბილი ლამე (ქიზიყ.) ამ მნიშვნელობით იხმარება აგრძელვე მარაგი ლამე.

კბილის დაკეტვა (169, 27) — ან: კბილის შაკვრა: „იცოდა შელოცვებით ნადირის კბილის დაკეტვაც“ — ნადირისათვის კბილის შეკვრა, შელოცვით, რომ ლამე გარეთ დარჩენილი საქონელი მგელს ან სხვა ნადირს არ შეეჭამა. შემლოცველი სავარცხლის კბილებზე ძაფს ხლართავდა და ულოცვდა, შელოცვა საიდუმლოდ ითვლებოდა, არავის ეუბნებოდნენ (ქიზიყ.).

კბილის დაკეტვა და კბილის შაკვრა სინონიმური წყვილებია.

პირის წყალი (207, 18) — „თან დაადიდებდა: „დიდი თამარი, საქართველოს დედათა პირის წყალი“ — სინდისი, პატიოსნება (თ. სახოვია).

ფეხის მოხავალი (222, 7) — „აგიუვავდებათ, ძმებო, მწვანილი, ფეხის მოხავალი, დაისხამს ვაზი, ხერილი!“

ნაბარში მოყვანილი ჭირნახული, ბოსტნეული (კახ. არ. მარტ. გრ. იმნ. ლლ.).

ბედის ბედაური (257, 23)<sup>1</sup> — „ღიქრით სოფელი გადავაბნელე! ბედის ბედაური გავაჭენე და ეს მერგო საწუთროში“. ბედის

ბედაური „ცის კივკავებში სახეოქები“ თეთრი ცხენია, რომელიც ბედს სწევს ადამიანებს:

„პირველად დასახა მორიგემა  
ბერი ბუქნაი ბაადური,  
იმას მისცა მორიგემ ღმერთშია  
საფერენედ თეთრი ცხენი“. და ა. შ.

„იმას დაუქვივნა სახელად  
„ბედის ბედაური,  
ის არის იმის საკვეხური,

ცის კივკავებში სახეოქები“<sup>2</sup>. და ა. შ.

გ) ორწევრა სიტყვათშეხამებანი, რომლებიც სიახლით

<sup>1</sup> კრებ. ქართული ხალხური პოეზია“, ტ. I, ნაკვ. I, თბილისი, 1972, გვ. 731.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 127.

## იქცევენ ყურადღებას

ა) ავტორს თავად მოუპოვებია ხალხური მეტყველებიდან დევის სისხლი (116, 16) — „დევის სისხლი გაჭდა ძარღვებში“.

საფერავის ყურადღის ჭიშის ღვინო. დალევის შემდეგ შავ-წითელი ზოლები დაჟყვება ჭიქას. სამკურნალოდაც ხმარობენ. ძალას მატებს აღამიანოს; — ამისნეს გიორგი ლეონიძის მშობლიურ სოფელში, პატარძეულში.

გარეაქეთში განსაკუთრებით განთქმულია სოფელ ხაშმის ყარაბულახის (ვენახის სახელწოდება!) საფერავის ღვინო, რომელსაც დევის სისხლს უწოდებენ.

გაძირებული ჭამი (268, 23) — „ღალანა პატარძლის ეშჩით გაძირებულ ჭამებს ჭერში ისროლნენ“

ცარიელი, დაცლილი ჭამი, ძირი რომ გამოუჩნდება (პატარძეული) შდრ. ფშ. — გამდნარი, დუღილით გაწმენდილი: „ღამა მაჭმია სადილი, კარაქი გაძირებული“ (ი. ქეშეკ. ღლ.).

ფიცაწყვეტილი ღარიბები (101, 5) — „სუფრის მეორე ნახევარში დამცრობილი, უყოლელი, უქონელი, უპოვარი, უბარაქო გლეხები დამსხდარიყვნენ — უხაროები, „მჭადიაყვირები“, ფიცაწყვეტილი ღარიბები“.

— ისეთი ღარიბები, საფიცრიც რომ არაფერი აქვთ (პატარძეული).

ძალლგადავლილი ნიახური (273, 13) — „იცით, რა არის ძალლგადავლილი ნიახური?“ ძალლი გადაუვლის ნიახურის კვალს და წაბილწავს (პატარძეული).

ბურის ცილა (48, 25) — „თვალსაზრისიანი იყო, ბურის ცილა მასავით არავინ იცოდა“.

1. ბურის მარცვალს გარედან ქერქი აქვს. ქერქსა და მარცვლის შუაგულს შორის მოთავსებულ მასას ცილა ჰქვია. ცილა მცენარის უჯრედის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, შეიცავს აზოტს, ნახშირბაღს, წყალბაღს, უანგბაღს, რკინას და სხვ. ცილის მთავარი ფუნქციაა ცოცხალ უჯრედში მიმდინარე ყველა სასიცოცხლო პროცესის წარმართვა და რეგულირება, ამიტომ ბურის ცილის სისალეს თუ ლირსებას (მარცვლის სისავსეს) დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლისათვის (გ. ნახუცრიშვილი).

2. აქ: პურის ყადრი, მაწიერობა (შ. სამხარაძე, სოფ. ჩუმლაყი).

„საწუთროსნახევარი“ ჩოხა (94, 15) — „ჩაიცვა დაწინწელული ახალუხი, თავისი „საწუთროსნახევარი“ ჩოხა“.

რამდენი წლისაც არის კაცი, იმის ნახევარი წლოვანების ჩოხა (პატარძეული).

ჩაგაშლებული ცხენი (64, 12) — „ჩირიკის სააშაყო მისი ჩავაშლებული ცხენი იყო“. კარგად ნასუქ, ჩამრგვალებულ ცხენს მრგვლად დაყრის ხოლმე ხალებს. ასეთ ცხენს უწოდებენ ჩავაშლებულს. შდრ. ჩუს.: კოხ ვ აბიოკა (ცნობა მომაწოდა ნ. ებრალიძემ).

სამოყვრო ამინდი (94, 3) — ვიორევი ლეონიძე თავად განმარტავს საკმაოდ განსხვავებულად, მაგრამ უფრო სარწმუნოდ, ვიდრე ცნობილია:

„იცი, რა არის სამოყვრო ამინდი? არა?

პატარა თოვლი რომ წამოვა ფინღლებად, მიწას რომ ოდნავ წაპეტირსლავს ნელა, ტკბილად, თბილად, უზრუნველად, მაშინ, თუ სოფლად ხარ და უკვე აქრეფილი გაქვს მიწის ზურგიდან მოსავალი და მარან-ზელებულში დაბინავებული, მაშინ რაღა უნდა გააკეთო, ისიც ასეთ ამინდში<sup>1</sup> და უცემ შეგახსენდება, რომ ამდენი ხანია, რაც არ გინახავს შენიანი, ზაფხულ-შემოდგომის საშრომელმა არ მოგაცალეს. ახლა კი წყურევილით მოგწყურდება მოკეთის, მოყვრის ნახვა. წახვალ და მოინახულება. გაუხარდება, გაგიხარდება! ი, რა არის სამოყვრო ამინდი, ალერსის დღე<sup>2</sup>.

შდრ..

„სამოყვრო ამინდი (ქართლი, ავნევი, თენგიზ ტაბატაძე) — გლეხი კაცის ამინდი, მოძალებული სამუშაოს დროს წვიმის მოსულა, როცა კაცი გარე სამუშაოზე ვერ გადის, შინ ზის, სტუმრიანობს და პურმარილს შეეჭვევა“ (ღლ.).

ბ) სიტყვათშეხამებები, რომლებიც მწერალს რისამე ანალოგით შეუქმნია:

სამრავალკაცო სუფრა (277, 21) — „ლაფაჩის ეზოში სამრავალკაცო სუფრა იშლებოდა“ — მრავალი სტუმრისთვის გათვალისწინებული სუფრა. შდრ. სამრავალკაცო საძვა-

<sup>1</sup> ვ. ლეონიძე, „ნატვრის ხე“, 1980, გვ. 94.

ლე (საბა).

ღვინის ნათლული (259, 3, 218, 15) — „ლაფაჩის წინაპრებს ღვინის ნათლულებს ეძახდნენ თურმე“; „— ტომბაზი ჩამოვაისხი, შენც მოილჩინე, ხუმრობა ხომ არ არის, ამოდენა მამულები მოიგდე ხელთაო! — მიმართავდნენ ღვინის ნათლულები და მამრიკა უხვად იხარჯებოდა მიცვლილი ჩორების ხარჯზე“.

ღვინის მოყვარული, ღვინოში განბანილი

შდრ. ღვინის ნათლული — კეთილი სათნო აღამიანი.

ობოლი სახრე (94, 18) — „ხელთ იფნის ობოლი სახრე აიღო“. განსაკუთრებული, რჩეული სახრე.

შდრ. ობოლი<sup>2</sup> — ეპითეტია საუკეთესო მარგალიტის დასახასიათებლად: „ვით მარგალიტი ობოლი“...

ღვინის კაბი (62, 13) — „სულ მუდამ ღვინის კაბი სწყუროდა“. ღვინის წვეთი, ცვარი.

მართალია, კაბის ძირითადი მნიშვნელობა ხის განშტოებაა (ჩომელსაც ქმნის მასზე ამოზრდილი რტოს შერჩენილი ნაწილი), ან ჩამოსაკიდი კავია (აქედან: კავიანი ჯოხი), აგრეთვე — გამონაშვერი ბარის ტარზე, მაგრამ გადატანით მისი მნიშვნელობა ყოფილა „მდინარის შენაკადი რიყეზე, ძლივს რომ მოჩანს!“<sup>3</sup>.

წყლის კაბი დაუდასტურებია აღ. ყაზბეგის ენაში რ. ქურდაძესაც<sup>4</sup>: წყლის კაბი, ე. ი. წყლის განშტოება. ივ. ქავთარაძეს მოჰყავს ასეთი მაგალითი: „წყლის კაბი მიწყანწყარებს“, სადაც კაბი ფიგურალური მნიშვნელობითაა ნახმარი.

თუ შესაძლებელია წყლის კაბის წყანწყარი, შესაძლებელი იქნება ღვინის კაბის წყანწყარიც (მაგ., ჭინჭილიდან). ეტყობა, სწორედ ეს ივარაუდა გიორგი ლეონიძემ და წყლის კაბის ანალოგით იხმარა ღვინის კაბი (ფიგურალურად): კაბკაბით გადმონადენი, გამონაჟური ღვინისა.

<sup>1</sup> თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი 1979, გვ. 703.

<sup>2</sup> აღ. ჭინჭარაული, ნ. ნათაძე; შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მესამე სასკოლო გამოცემა, 1988, განმარტებანი, გვ. 15.

<sup>3</sup> ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, 1985, გვ. 252.

<sup>4</sup> რ. ქურდაძე, ალექსანდრე ყაზბეგის ლექსიკიდან, ქსკ, XI, გვ. 271.

ბ) ავტორის ეული პოეტური სიტყვათშეხამებები, რო-  
მელთა სემანტიკასაც კონტექსტი წარმოაჩენს:

გიორგი ლეონიძის პროზის ენაში დასტურდება ისეთი სი-  
ტყვათშეხამებანი, რომლებიც ძალზე პოეტურ სახეებს ქმნიან და  
მათს მხატვრულ ღირებულებას მხოლოდ კონტექსტი წარმოაჩენს.  
ეს სიტყვათშეხამებებია, ერთი მხრივ, მეტაფორული ეპითეტის  
მნიშვნელობით ნახმარი შესიტყვებები, მაგალითად:

**სიმღერების მწყემსი (107, 4)** — „... მიესაყვარლნენ სიმღერების  
მწყემსს“ მეტაფორული ეპითეტია ერთ-ერთი პერსონაჟისა —  
ცანგალასი („ღვინჯუა“), რომელსაც სიმღერა თავის პრო-  
ფესიად უქცევია.

**ტყვიის კურატი (139, 35)** — „ტყვიის კურატად გავუშვი ჩემი  
ბიჭი, — ორლობეში გმინავდა ბებია მარიამი“.

ტყვიის მსხვერპლი, ტყვიისთვის შესაწირი — მეტაფო-  
რული ეპითეტია ომში წასული ახალგაზრდისა.

**ტყემლის ბოყვები (88, 23)** — „ოქვენც კარგები დაიზარდენით,  
ტყემლის ბოყვებო!“

პატარა, მოუმწიფებელი ბიჭუნების მეტაფორული ეპი-  
თეტია (პირდაპირი მნიშვნელობით ტყემლის მოუმწიფებე-  
ლი ნაყოფია).

**საიქიოს ნისია (118, 20)** — „მკვდრებს აკლიხარ, საიქიოს ნისიავ“.

თავისი არსებობითა და ცხოვრების წესით არაფრის  
მაქნისი ადამიანი, რომლის ადგილიც იქაა — საიქიოში,  
თუმცა კი ჭერჭერობით მაინც სააქაოშია. იქ მკვდრებს აკ-  
ლია, თუმცა სააქაოშივე მკვდარია.

**ტყვიით მთვრალები (85, 25)** — „გაპერა ჩონგურმა და აალაპა-  
რაკა საფლავში მწოლარენი — ხმლითა და ხანგლით აჩეხი-  
ლები, მავილით გადასერილ-გადმოსერილნი, „ტყვიით  
მთვრალები“.

მრავალი ტყვიით ჩახოცილების, ტყვიით დაცხრილული  
ახალგაზრდა მეომრების მეტაფორული ეპითეტი.

**თაფლით შედედებული (86, 35)** — „ადე, შვილო, თაფლით  
შედედებულო, ადე, თვალებში გაკოცო...“

ერთ-ერთი პერსონაჟის — შალიას („სახელის მილოც-  
ვა“) მეტაფორული ეპითეტია (ნიშნავს: ტკბილს, საყვა-  
რელს).

მეორე მხრივ, ეს ისეთი სიტყვათშეხამებებია, რომლებიც  
მკითხველში იწვევს ვიზუალურ-სენსორულ (ე. ი. მხედველობით-  
გრძნობად) შთაბეჭდილებებს. ვგულისხმობთ ასეთ ნიმუშებს:

მთვარის კიბე, მთვარის საშუბლე, ღამის მღვიმე, ღამის ია, ღამის ბალანი, მიწის ტირილი და ა. შ.

განყენებულად, კონტექსტის გარეშე შეუძლებელია როგორც ამ შესიტყვებითა სემანტიკის განსაზღვრა, ასევე მათი, როგორც მხატვრული სახეების აღქმა. ზედმიწევნითი შინაარსობრივი დეტალიზაცია აფერმერთალებს და ფერხორცს უკარგავს მათს მხატვრულ ღირებულებას, რომელზედაც ყველაზე უკეთ თვით ტექსტი მეტყველებს:

„თმაჭალარა მანდილოსანი გაფოთებული ჩამორბის ციხის თავქვე, მთვარის კიბეზე, ვიღაცას შორიდან აუქნევს ხელს და ამრიზებული მყაცრად შესძახებს“ (77, 7); „მარიტას უხრწელი სილამაზე — მთვარის საშუბლე, პიტალო ვერცხლური სახე, დამარმარებული ყელი სიკვდილშიც კი მომხიბლაობდა“ (198, 23). „მზე ჩავიდა დიდებულებით. მიებარა ღამის მღვიმეს. ამჟღვირვალდა მშობლიური კამაბა ცა, ლურჯად მინაქრიული ღამის ით აყვავებული“ (61, 23). „მოღამდა. აიძაგრა ღამის ბალანი“ (138, 24). „ღამის ბალანიც კი არ ჩანდა, არა თუ იძრისი (125, 18). „ბალანი რომ ნამს გაუშებს, ის მიწის ტირილია“ (49, 8).

ეს პოეტური სახეები ჩვენ ავტორისეულად მიგვაჩინა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ თოთოყოულ მათგანს ანალოგი მოეძებნოს ხალხურ სიტყვიერებაში ან მწერლობაში, უკანასკნელი შესიტყვების (მიწის ტირილი) მნიშვნელობას თვით ავტორი განმარტავს, სხვა სიტყვათშეხამებანი კი კონტექსტის მიხედვით გააზრიანდება, თუმცა ზოგი მათგანი უფრო ვრცელ კონტექსტსაც საჭიროებს. მაგალითად, მთვარის კიბე, რომელიც ავტორისეული პოეტური ხატია<sup>1</sup>.

შესიტყვება მთვარის კიბე პოეზიაში არ ჩანს, მაგრამ

<sup>1</sup> მსგავსი პოეტური სახეები გიორგი ლეონიძის ენაში მრავლად დასტურდება (გ. ლეონიძე, „საქართველოს ცრუმები“, ლექსი, შედგნილი ნესტან ლეონიძის მიერ, 2000). მაგალითად, ყაბალახი მთვარისა (ჩოხა წვიმისა მაცვია და ყაბალახი მთვარისა, გვ. 129). მთვარის კლდეები (...მთვარის კლდეებზე გადაეწერილვარ, გვ. 404). მთვარის სარქველი, რაც სიწმინდისა და ნდობის სიმბოლოდაა გააზრებული (მე ბავშვობის ფერისას წინდად ვინახავ, ზედ მახურია მთვარის სარქველი, გვ. 402). პოეტი დედის საფლავის ქვასაც მოვარეს უკავშირებს (ეს პატარა ქვა — მთვარის ნალევი, მე მთვარესავით მუდამ მდარაგობს, გვ. 359). ჯხვდება აგრეთვე მთვარის ნამქერი და ზოლი მთვარისა (მოუბაზე მთვარის ნამქერი, ზედ ზოლები მკრთალები, გვ. 217).

ან: როცა მოსკდება მთვარის ნაშეერი,

მე თვითეული ზოლი მთვარისა

თქვენი დალალის ჩქერი შეონია, გვ. 261.

ვფიქრობთ, ივარაუდება მთვარის სხივები ან ის ზოლები, რომ-  
ლებსაც პოეზიაში ახსენებს პოეტი. მოგვყავს ვრცელი ამონაშერი  
მოთხოვილან (“სახელის მილოცვა”), საღაც ეს გამოოქმა (მთვა-  
რის კიბე) გვხვდება: „ჭაღარა მანდილოსანი გაფოთებული ჩამო-  
რბის თავეე, მთვარის კიბეზე, კილაცას შორილან აუქნევს  
ხელს და ამრიზებული სწრაფად შესძახებს:

— არ გაბეღო მოსვლა, სირცხვილიანო, არ მომეკარო!

ტანაბერიანი, დაჩოქილი შვილი თავში ხელს წიაშენს, შე-  
ჰლმუვლებს სიმწრით, ისევ უკან გამორბის ხმალამოლებული, უც-  
ბად შეჩერდება და დედას შორილან შეუთქვამს:

— ან შევაკვლები, ან მოგივალ იმედიანი!

დედა ისევ კოშკში შევარდება, კარებს მიაჭიქურებს, მძიმე  
ურდულს აუგდებს და კოშკილან ისევ გამოისმის გამწყრალი ხმა:

— არ დამენახო, გაბრუნდი, სახელის შემრცხვენო, ავსახე-  
ლიანო!

...და უცბად წყვდიადში აქეთ-იქილან ატყდება უჩინართა  
ძახილი:

— თითისტარი მიეცი!

— თავს ჩიქილა დაახურე!

— თმა ჩამოიწნას ჭალისა!

და სხვა წყვავლა-შეჩერება.

ჭაღარა მანდილოსნის აჩრდილი მკერდში მჯიდს ჩაკრავს:

— ვაი, რა ვქნა, რა უყო, წავალ და გავნიავდები!“ (გვ. 77).

მაგრამ რაღა მთვარის კიბეზე ჩამორბის ჭაღარა მანდი-  
ლოსანი?

ვფიქრობთ, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მთვარესთან შედა-  
რება, ან მთვარის მსაზღვრელად გამოყენება სიწმინდის, სილამა-  
ზის, სიკეთის ცნებას უკავშირდება, რაღვან ხალხური სიტყვიერე-  
ბის მიხედვით, მთვარე არის „ლამაზი, მშვენიერი, სათაყვანო, სა-  
ღმერთებელი: „ვისი მზე ხარ, ვისი მთვარე, ვის უბეში გძინავს  
ლამე“ (ხალხ.).<sup>1</sup>

ჩვენი ვარაუდით, მთვარის სხივები ან ზოლები (რომლებ-  
საც ავტორი მთვარის კიბეს უწოდებს) სიმბოლო უნდა იყოს  
ლგონებრიობისა და სიწმინდისა, რომელზედაც შეიძლება ფეხი

<sup>1</sup> თ. სახურა, ჭართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1979, გვ. 399.

დააღვას მხოლოდ რჩეულმა აღამიანმა. ასეთი რჩეულია, პოეტის აზრით, თმაჭაღარი მანდილოსანი — დედა, რომელსაც შესწევს ძალა კარი ჩაურაზოს მტრისთვის ზურგშექცეულ შვილს და სამშობლოსათვის თავგანწირვის სურვილით დამუხტოს იგი.

## 2. სასაუბრო სიტყვის მასალა და ფრაზეოლოგია

გიორგი ლეონიძის ენა მდიდარია სასაუბრო სიტყვის მასალითა და ხალხში დამკვიდრებული ფრაზეოლოგიითაც, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს მწერლის ენის მჭიდრო კავშირს ხალხურ მეტყველებასთან. მის მოთხრობებში ძალზე ხშირია სასაუბრო მეტყველებაში ფორმულის სახით დამკვიდრებული გამოთქმები:

მოდი ახლა და იპოვე... (62, 25), მოდი ამ დროს და ქედი წახარე... (66, 14), მოდი და ნუ დაუგერებ ციციკორეს (162, 24).

არც აცია, არც აცხელა... (73, 20)

დაიწყო და რა დაიწყო (28, 3)

მერე რა მსხალია! (17, 10), რა ღვინოა! სწორედ მზის ოვალი აქვს ჩაყოლილი... (242, 12).

ახ, ბედი გაიხსნებოდეს! (225, 29)

განა სოფელი ბრმა არის... (196, 55)

ეს არი და საკვნესარი... (234, 34)

ღმერთო, შენითა! (103, 35)

ღვრნა შენა და წარღვნა! (31, 29)

ვაი, თემო და სოფელო! (196, 18) და სხვ.

ასევე უზვალა ხალხში გავრცელებული მზამზარეული ფრაზეოლოგია:

სანთლით ნარჩევი ქალა... (193, 16)

სოფელი ვინ? ერთი კაცი (158, 21)

ჩარბუზანა დაბეს (116, 32)

ახლა დაზომე გზა... (122, 28)

ეგ რა ცოდვის კითხულია? (114, 30)

ააბიჯე მთა არი, ჩააბიჯე — ბარი! (123, 36)

რას არ იტყვის ჩხიკვის ენა (34, 3)

უხატოდ გაგიჟებულა (117, 34)

როგორა ხარო? — გიბასუხებდა:

— ძველებურად: არც ვგრძელდები, არც ვმოკლდები!

ამასთანავე, გიორგი ლეონიძის ენაში ხალხური მეტყველებიდან უხვადაა შესული წყევლის ფორმულები:

აი, შე სვეტიცხოვლის დამქცევოო... (73, 17); მიწამ კი დაგიკეტოს ჭირი, შე ულხინებელო (37, 7); შე ნაცარდასაყრელო, ავთვალო... (20, 2). ასევე, დალოცვა-მოუკრების ფორმულები:

უველაწმინდა შეგეწიოთ! მისი მადლი სწყალობდეს ამ ოჯახს! (130, 14); აი, გაძეს კარგი შზითა (153, 31); მცეთის სამირონეს გეფიცები, მაშ სვეტიცხოვლის დამქცევი გიურ, თუ გიღალატო (96, 10); ჭირი მოგჭამე! (134, 14), შენი მუხლების ჭირიმე! (134, 16)...

ეს მზა ფორმულები მიმობნეულია „ნატვრის ხის“ მოთხრობათა ციკლში და მათ გარკვეული ლიტერატურული დანიშნულებაც აქვთ: დაახასიათონ პერსონაჟი, გამოხატონ დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება პიროვნებისადმი, აღძრან დადებითი და უარყოფითი ემოციები.

მაგალითად, წყევლის ფორმულებით გამოხატულია თანასოფლელთა დამოკიდებულება ქურდბაცაცა ქორისადმი, რომელსაც მგლის მუხლესაც ეძახიან, ჩამოხეთქილ ზგავსაც, ეშმაკის სახნისსაც, ძუძუნასხლეტსაც და რომელმაც, როგორც ისინი ამბობენ, გააცია სოფელი; აი, როგორ მიმართავენ ისინი ქორიას: წადი ჭირში და სიკვდილში! სადაც წანვალ, ხულშავითა და ბნელით იარეო! (147, 2); აი, მიწამ კი ჩაგჩიჩქნოს მალე! შენ კი გაგებაროს წამალი! შენ კი მოიშალე მადლისაგან (246, 30); შე დაყროლებულო მძორო ყომრალ სულისავ (246, 31)...

სამაგიეროდ, ერთ-ერთი მოთხრობის („დეიდა მაკო“) მთავარი პერსონაჟის სათნო, ადამიანურ ბუნებას ავტორი მოფერების ფორმულებითა და თბილი მიმართვებით ხსნის:

ჩემო სიცოცხლის ცისკარო! თაგს შემოგევლე! ჩემო გაშლილო იაო! შენი გულის ჭირიმე!.. წამლად დაგენაყე, წამლად დაგედე! ჩემო სიყრმის შზევ, შენ კი დაგენაცოლე! .. ჩემო სულისდგმაგ! ჩემო ცხოვრების ნიავო! ჩემო დამატებობელო მშვენიერო თვალებო! შენამც დამაყრი მიწასა! იმ ადგილის ჭირიმე, სადაც შენ მომავონდები! (გვ. 134).

ზემოთ წარმოდგენილი სიტყვის მასალა და ფრაზეოლოგია, წყველისა და დალოცვის ფორმულები თხრიბას ბუნებრივ კალაპოტში აქცევს და სასაუბრო მეტყველებასთან აახლოებს ისევე, როგორც ხატოვანი სიტყვა-თქმანი და ანდაზები, რომელთაც თე-დო სახოვია „მეტყველების შნოსა და ლაზათს“ უწოდებდა.

## 1. ხატოვანი სიტყვა-თქმანი

თანამედროვე მწერალთა შორის გიორგი ლეონიძის ენა გამორჩეულია ხატოვანი თუ იდიომური გამოთქმების სიმღიდრითა და მრავალფეროვნებით, ამიტომ ხატოვან სიტყვა-თქმათა რამდენიმე გვუფი გამოვყავით:

ა) ხატოვანი გამოთქმა ფართოდაა ცნობილი:

ჭიან ტყემლადაც არ მიაჩნდა (122, 17) — არაფრად მიაჩნდა. ფეხევეშ მიწა გამოეცალა (197, 33) — საყრდენი, დასამხრისი მოშალა. გუნდრუქს უცმევდა (247, 14) — ხოტბას ასხამდა. ცას რომ არ გამოვეკრებით (240, 26) — მარადი-ულნი ხომ არა ვართ? ბრეს ადენდა (225, 7) — ანალგურებდა, სპობდა. ათას თოვში გამოვლილი ქურდი (247, 13) — გა-მოცდილი ქურდი. ცეცხლი ჰყარა (30, 18) — გაჯავრდა, გან-რისხდა. კიდურზე მიგვიყვანა (183, 12) — მოთმინება დაგვა-კარგვინა, უკიდურეს წერტილამდე მიგვიყვანა.

ბ) ხატოვანი გამოთქმა მივიწყებულია და აგტორი აქტიურებს მის მნიშვნელობას:

აქლემი გაუკეთა — მოატყუა, ცბიერებით, გაიძერობით შეუჭამა ქონება.

„უყურე, რა ხლინკი მიყო, ეს რა აქლემი გამიკეთა?“ (115, 5). აქვე გამოთქმა — ხლანკი მიყო, როგორც ჩანს, აქლე-მი გამიკეთას სინონიმური შესიტყვებაა.

ქრისტეს თიხის ყმაწვილი<sup>1</sup> — კარგი, ჭკვიანი, სპეტაკი ადამიანი — ...დამიხედვეთ, ქრისტეს თიხის ყმაწვილი! (266, 19).

სოფლის გაცივება — სოფლის დაზარალება, გაჩანაგება, გაღარიბება გაქურდვით ან მოუსავლიანობით (უამინდობით ან მოუსავლელობით)

<sup>1</sup> თ. სახოვია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1979, გვ. 33.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 687 (შდრ. ქრისტეს თიხა ადამიანია)

— რალადა სთესთ? — შევეკითხებოდი სოფლის დედაკაცებს.

— მაშ ჩა ვქნათ, სოფელს ხომ არ გავაციებთ? სირცხვილია (225, 8).

ანდეზე სიარული, ანდეზე დადგომა<sup>1</sup> — ოდნავ განსხვავებულ შინაარსს გულისხმობენ ამ გამოთქმაში სტ. მენთეშაშვილი და თ. სახოვია. .

პირველი განმარტების მიხედვით, ანდე — ორიენტირება, ალლოს ქონა არქმარეში. ანდეზე წაველ — ორიენტაციით წაველი (ქიზიყ.). იქვე დამოწმებულია ვაჟა და ჩუბინაშვილი. თ. სახოვიას განმარტებით კი ანდეზე (სიარული, საქმის კეთება) სავინიცობილო საქმის კეთებას ნიშნავს და იქვე მაგალითია მოყვანილი:

„ანდეზე საქმის კეთება არავის გამოსლგომია“.

როგორც ჩანს, ეს გამოთქმა ორივე მნიშვნელობით იხმარებოდა ხალხში. გიორგი ლეონიძე მას პირველი მნიშვნელობით ხმარობს:

— ჩემთან ჩა ხელი გაქვთ. ქალაქში წაიყვანეთო, იქ ბაგრატიონის გვარის კაცმა სამი სილა უნდა გაარტყასო, ანდეზე დადგებათ, ავადმყოფობა გაუვლისო (160, 8).

დაახლოებით ანალოგიური შინაარსისაა წინაღადებაში: პატარძალი ძლივს დონეზე დადგა (129, 21) გამოთქმა:

დონეზე დადგა (გონებაზე მოვიდა), რომელიც მწერლის მშობლიურ სოფელში დაგვიდასტურეს, თუმცა წერილობით არსად შეგვხვედრია.

გ) აგტორი სახეს უცვლის ხატოვან გამოთქმას, ახალი მნიშვნელობით ხმარობს მას:

საუფლო დღე.

ცნობილია გამოთქმა: „ფერიცვალობა დღეს ირემი ხეს არ გაექცევება“<sup>2</sup>. გიორგი ლეონიძე ზოგად მნიშვნელობას დებს ამ გამოთქმაში (ფერიცვალობის ნაცვლად წერს საუფლოს) და ძალიან ბუნებრივად ურთავს დიალოგში:

— ხომ დაგიბევე? ნათლილებას უნდა მესტუმრო შატრივანში და ჩემს ოჯახში მირონი შემოიტანო. ხომ იცი საუფლო

<sup>1</sup> თ. სახოვია, იქვე, გვ. 23.

სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1949, გვ. 8.

<sup>2</sup> ანდაზები, მახვილისტყვაობა, გამოცანების წიგნში: „ხალხური სიბრძნე“ ხუთტომად, ტ. V, 1965, გვ. 307.

დღეა. ამ დღისით ირემიც კი არ გაექცება ხეს (91, 3).  
ქრისტეს ფეხის მომწმელი.

ასევე შეცვლილია სიტყვა ხატოვან გამოთქმაში „ქრისტეს ფეხის მტკვერელი“<sup>1</sup>. გორგი ლეონიძესთან დასტურდება ქრისტეს ფეხის მომწმელი. მნიშვნელობა არაა შეცვლილი (ორივე შემთხვევაში ნიშნავს ბოროტს, შეუბრალებელს), ოღონდ გამოთქმა უფრო გალიტერატურულებულია. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე კილოდან სწორედ ამ ფორმით ჩაწერილი მწერალს ეს გამოთქმა:

ერთი ხელის დაღება მიწა გადაგიწევია, შე ქრისტეს ფეხის მომწმელო! — შეუყვირებდა უდანაშაულო მეზობელს (43, 8).

მარილი არ აგიტირდა აქამდე?

ეს ხატოვანი გამოთქმა უკავშირდება შესიტყვებას „მარილი ტირის“<sup>2</sup>.

თ. სახოვიას განმარტებით, ამ გამოთქმას ხმარობენ დასველებული მარილის მიმართ, რომელიც ხალხს „გასულიერებულად წარმოუდგენია, რაც უდიდესი პატივისცემის გამომხატველია: სისველე არ უკადრებია დანესტიანებული მარილისათვის.“

გორგი ლეონიძეს, როგორც ჩანს, ამ გამოთქმაში ახალი შინაარსი ჩაუქმისვია, კერძოდ: შენს მარილს განა არ მოენატრასტუმარი, არ აგიტირდა მარილი? და განუახლებია კიდეც:

რას შვრები, მათ, განა მარილი არ აგიტირდა აქამდე? — და როცა დაპეპტიუებდნენ, ჯერ თავიზიანად მაღლობას იტყოდა, მერე დაატანდა: — მოვალ, მოვალ, ხელადას ძირს არ დაგცემ!“ (291, 26).

ამავე წინადასებაში მეორე ხატოვანი თქმაცაა:

ხელადას ძირს არ დაგცემ — არ დაგმარცხდები, არ შევრცხები. შედრ. ძირს დაცემა<sup>3</sup> — მოსპობა, დაღარიბება, დამარცხება, გაქრობა, განადგურება.

დ) ნაკლებად ცნობილი ზოგი ხატოვანი გამოთქმა ავტორის შშობლიურ კუთხეში დადასტურდა:

სიღარიბის ბურტყლი ასდიოდა — იტყვიან უკიდურესად ღარიბი აღამიანის მიმართ: „გაწყალებულ პატარა სოფელს,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 300.

<sup>2</sup> თ. სახოვია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 373.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 844.

სიღარიბის ბურტყლი რომ ასდიოდა, რა დახმარების გაწევა შეეძლო (221, 26).

თხრობის გასახალისებლად ზოგჯერ სიტყვა ან შესიტყვებაა შეცვლილი. მაგალითად, ნახმარია: სიღარიბის მტვერთადენილი აზნაური (138, 12).

ჭურჭელს ძირი მოუმშრალა — ჭურჭელს ძირი გამოუჩინა, მთლად დალია — თაყამ ჭურჭელს ძირი მოუმშრალა (118, 16).

ქვევრს გაუტეხა თავი — სარქველი მოხადა ქვევრს, ლვინო დახარგა: ერთი შენ ქვევრს გაუტეხოთ თავი (241, 23).

ხალხური მეტყველებიდან შემოტანილ, სიახლით გამორჩეულ ხატოვან გამოთქმებს ავტორი შესაბამის კონტექსტს უძებნის, მაგალითად, ხატოვანი გამოთქმა ხალხი დამწყემსდა (=ხალხი დაწყნარდა, დატება, ურთიერთგაგება დამყარდა) ასეთ დიალოგში გვხვდება (დიალოგი ერთოვარად ხსნის მას!):

— ჰეი, ძმაგულავ, ეგრე მომები გულზე, ეგრე შემიტებე! — ეთანადებოდნენ ურთიერთს.

— გულისთვის გული ჩამიღეო.

— ერთმანეთისანი ვიყვნეთ, საერთმანეთონიო!

ხალხი დამწყემსდა”... (104, 11).

სხვა შემთხვევაში პირიქითაა: ხატოვან გამოთქმას მოსდევს ამხსნელი კონტექსტი. მაგალითად:

„ღინო დარუვდა... ადლეგრძელეს გლეხყავის ყოველი საფიცარი: ღმერთი დაუსაწყისი, ცამზე, დედამიწა უღეველი, უშრეტელი, ყანის მუხლი, ვაზის დედა, მებაღის ნობათი, ხარის ქედი, აკვნის ფიცარი, წისქვილის დოლაბი, სიმინდის ფრჩხილი, ახალნერგი, რქადახვეული ყოჩი, მინდვრის თარგი, აბრეშუმის ჭია, ქართვეხა ცხენი, ფუძნარი გუთანი და ხმალი! ჰე, ვინ იცის, კიდევ რამდენი! (105, 32).

ღინო დარუვდა — ე. ი. სმა გაჩალდა, სადლეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა. (მოქმედის აზრით, ამდენი სადლეგრძელოს საოქმედოდ რუსავით უნდა მოედინებოდეს ღვინო).

ზოგჯერ ხალხში გაერცელებულ ხატოვან გამოთქმას — ხიტყვა გალორდა — ავტორი ხატოვანი სიტყვებითვე ხსნის, რომელთაგან ზოგი კარგადაა ცნობილი (ერთ პირზე დგომა), ზოგი კი საკუთარი, ავტორისეული ჩანს: ხმლის ენაზე ალაპარაკ-

და სუფრა, ზღვის ჩემი დაიწყო. ამ უკანასკნელ მეტაფორულ ფრაზასაც თავისი დატვირთვა აქვს, მასთანაა დაკავშირებული მღელვარება, ჩოჩქოლი, შეხლა-შემოხლა, ე. ი. დინამიკა (კონტექსტის გათვალისწინებით!):

სიტყვა გალორდა. ზღვის ჩემი დაიწყო. ერთ პირზე როდი იდგა წუთისოფელი?

სმლის ენაზე ალაპარაკდა სუფრა“ (118, 27).

ე) ხატოვანი სიტყვების გარკვეული ნაწილი თავად მწერლისეული ჩანს. გარდა ზემოთ მოყვანილი ფრაზისა:

სმლის ენაზე ალაპარაკდა სუფრა (=დაიძაბა ურთიერთობა სუფრის წევრებს შორის, დაიწყო იარაღის ტრიალი), „ნატვრის ხეში“ გვხვდება არაერთი, ჩვენი აზრით, საკუთრივ ავტორისეული გამოთქმა:

სხვისი ჩხრეკია, სხვისი ცხვირის მზომელი — ნათქვა-მია მეტიჩარა, არამკითხე აღამიანის მიმართ:

— გასიბრძნებულო, რათა ხარ სხვისი ჩხრეკია, სხვისი ცხვირის მზომელი? (168, 18).

აპოლონის ლილიბუტები — უნიჭო, უბადრუკი მიმბაძველები (ნათქვა-მია ვაიმწერლებისა და მეცნიერების მიმართ!).

ავტორის აზრით, უნიჭო, უბადრუკი მიმბაძველები ისევე ვერ შეედრებიან ჰეშმარიტ შემოქმედთ, როგორც უსახური კაცუნები სილამაზით განთქმულ აპოლონს, ამავე ნაწარმოებში მიმბაძველთა ნააზრებს გიორგი ლეონიძე ფეხმოკლე აზრებსა და ლაფიან წუნწლებს უწოდებს (ეს გამოთქმაც თავისთავად ხატოვანია):

აპოლონის ლილიბუტები! ვის რად უნდა მაგათი ფეხ-მოკლე აზრები? და იქვე: აზრი კი არა ლაფიანი წუნწლებია (154, 33-36).

დაღმით ჩაღმართით — ავტელობის უამს, უკან სვლისას.

დაღმით ჩაღმართით, წარმოების მიხედვით, ანალოგიურია ცნობილი ხატოვანი გამოთქმისა — „აღმა-დაღმა და გაღმა-გამომდა“<sup>1</sup>, რაც, თ. სახოკის განმარტებით, ნიშნავს: ყველგან და ყველასთან. დაღმით ჩაღმართით კი უნდა ნიშნავდეს: გაჭირვებისას, ძნელბედობისას, ცხოვრების გაუარესების უამს. ეს გამო-

<sup>1</sup> თ. სახოკია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

თქმა ნახმარია ციციკორეს მიმართ. როდესაც მას, სოფლის მე-  
რჩულეს, გამგებელსა და მეუფროსეს, მიაბარებენ მიწას:

სასაფლაოდან კაცები თავდადრეკილები მოდიოდნენ, რა-  
ღაც დაბნეულები, რა იქნება დადმით ჩაღმართით? ავაი, ჩვენს  
უპატრიონბას: რა დამწონი კაცი დაგვაკლდაო” (182, 24).

ან კიდევ:

ყველა გინმე კი არ გეგონოთ, ძველი გვარის ნა-  
კვირტალია — ვიღაც უგვარო არ გეგონოთ, ლირსეული გვა-  
რიშვილია, ცნობილი გვარის შთამომავალია.

„გლეხზე უარესად ცხოვრობდა სიღარიბის მტვერთადენილი  
აზნაური! ისიც ხუთი შვილის მამა!

— ყველა გინმე კი არ გეგონოთ, ძველი გვარის ნა-  
კვირტალია! — იტყოდა მისი ცოლი ოქტომბერო... (238, 11).

#### 4. ანდაზები. ანდაზურ-აფორისტული გამონათქვამები.

გიორგი ლეონიძის მოთხრობებში — როგორც ავტორისე-  
ულ, ასევე პეტრონაჟთა მეტყველებაში — უხვადაა მიმობნეული  
კლასიკური მწერლობიდან თუ ხალხური სიტყვიერებიდან ცნობი-  
ლი ანდაზები, ანდაზურ-აფორისტული ლექსები თუ შეგონებანი,  
რაც ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა ენის ექსპრესიულობის გა-  
საძლიერებლად: ანდაზურ-აფორისტული თქმების ჩართვით მწე-  
რალი სათქმელს გამოკვეთილ მიმართულებას აძლევს. ამ მხრივ  
გ. ლეონიძე მე-19 საუკუნის გამოჩენილ მწერალთა (ილია, აკაკი,  
ვაჟა, ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი) ღირსეული მემკვიდრეა, რო-  
მელსაც მათსავით კარგად ესმის, რომ „ხალხის ენა სალიტერა-  
ტურო ენის საიმედო ბურჯია“ და „სალიტერატურო ენა მას უნ-  
და ემყარებოდეს“<sup>1</sup>.

რაც მთავარია, ეს მასალა (ანდაზები თუ ანდაზურ-აფო-  
რისტული თქმები და შეგონებანი) ძალზე ბუნებრივადაა ჩაქსოვი-  
ლი თხრობაში და ძნელად გამოიჩინება მწერლის ენისაგან. მაგა-  
ლითად:

ღრეობა გახურდა... ყველაზე მეტად თაყა ლხინობდა, კაცი  
რომ იხარჯებოდეს, არარას არგებს დრეკაო! — ხუმრობდა

<sup>1</sup> ლ. ლევანი, ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის  
საკითხები, I, 1959, გვ. 149.

თავის თავზე! (111, 28).

შდრ.

„კაცი რო იხარჯებოდეს, არარას არგებს ღრევაო“<sup>1</sup>.

„ვარი აქაურობას! — კაპასი ქორივით შემოვარდა, შემოაბრაცუნდა დაუპატიჟებელი ქათათა, ნაარყალი, გამტყვრალი, ღვინის ალმური ასდიოდა. ჭოჭოხეთს კიდევ ერთი მუგუზალი მიემატა“ (112, 16).

შდრ.

ჭოჭოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიემატაო<sup>2</sup>.

ან კიდევ:

გულისხმისმყოფელს რომ თვალი გადაევლო სუფრისთვის, გაიფიქრებდა: ადვილია დევთა შეყრა, მაგრამ გაყრა განძნელდებისო (100, 33).

შდრ.

„ადვილია დევთა შეყრა, მაგრამ გაყრა გაჭირდებისო“<sup>3</sup>.

ან:

„— იცი თუ არა, ყველა კაცი რომ არ არის ღირსი კაცობის სახელის ტარებისა! იცი, რომ ზოგი ფრინველია — სჭამენ, ფრინველია, რომ ხორცს აჭმევენ! „კაცი არ უვალა სწორია, დიდი ძეგს კაცით კაცამდისო“ (169, 5).

შდრ.

„მფრინველია, რომ იმის ხორცსა სჭამენ, მფრინველია, რომ ხორცს აჭმევენ“<sup>4</sup>.

ამ ანდაზას მოსყვება ჩუსთაველის ცნობილი სტრიქონები:

„კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“, რაც შემოხვევითი არ უნდა იყოს. ხალხური სიტყვიერების გარდა ანდაზურაფორისტული თქმები მრავლად გვხვდება კლასიკური მწერლობიდან და ბიბლიიდანაც. მაგალითად:

გ. ლეონიძე: კაცი პურადი უნდა იყოს, ნადიმნათელი“ (242, 22) შდრ. „ქილილა და დამანა“: ნადიმნათელი,

<sup>1</sup> 3. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება ოთხ ტომად, II, 1964, გვ. 237.

<sup>2</sup> თ. სახოკია, ქართული ანდაზები, 1967, გვ. 249.

<sup>3</sup> „ხალხური სიბრძნე“, ხუთ ტომად, V, „ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოაწები“, 1965, გვ. 324.

<sup>4</sup> 3. უმიკაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 243.

<sup>5</sup> შოთა რუსთაველი, მესამე სასკოლო გამოცემა, 1988, 961, 4.

პურდიდი მზისაცა შესადარია<sup>1</sup>.

ლეონიძე: შური უძლეველია (67, 35) შდრ. „ქილილა და და-  
მანა“: უკურნებელი სენია შური<sup>2</sup>.

ლეონიძე: სად გამოგუდგე სიკვდილს, სად დავეწიო უწყა-  
ლოს?! მარტო ხელისა ვარ! ვაჲ, ქართ, ქარისა მაგა-  
ლო“ (83, 8) შდრ. „ქილილა და დამანა“: უცები ქარს  
სდევს შესაბყრობად, ვით მიეწევის მდევარი<sup>3</sup>. ან  
შდრ. უკვე სიტყვის მასალად თუ ფრაზეოლოგიზმად ქცე-  
ულ გამოთქმას: დაიჭირე ქარი მინდორში<sup>4</sup>.

ლეონიძე: ღვინო ახარებს გულსა კაცისასათ (268, 5) შდრ.  
ბიბლია: და ღვინო ახარებს გულსა კაცისასა...<sup>5</sup>.

ლეონიძე: ყოველმან ხემა, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი  
კეთილი, მოიკვეთოს და ცეცხლზე დაედგას (270, 16).  
შდრ. „ოთხთავი“: „ყოველმან ხემან, რომელმან არა  
გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოიკუეთოს და ცეცხლსა  
დაედგას“ (მათე, 3, 10)<sup>6</sup>.

ეს გამონათქვამები ან სიტყვასიტყვითაა შესული გიორგი  
ლეონიძის მოთხრობებში, მაგალითად: ჭირი არ წავა უჭიროდ,  
თუ ჭირის დედა მოელია“ (67, 31)<sup>7</sup>, ან შეცვლილია ლექსი-

კურ-სტილისტური თვალსაზრისით. მაგალითად, ავტორი ცვლის  
სიტყვას ისე, რომ უფრო ზოგადი მნიშვნელობა შესძინოს ანდაზის:

ლეონიძე: სიბერე ლომსაც მორევიათ“ (181, 28), შდრ. სიბე-  
რე როსტომსაც კი მორევიათ<sup>8</sup>.

მწერალი თხრობაში ურთავს ანდაზის ან აფორისტუ-  
ლი გამოთქმის ნაწილს. მაგალითად:

<sup>1</sup> კრებ. „ხალხური სიბრძნე“, დასახ. ნაშრომი, გვ. 359.

<sup>2</sup> იქმ, გვ. 373.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 374.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 288.

<sup>5</sup> „უსალმუნი, დავითი“ 103, 15: „მცხეთური ხელნაწერი (ტობის, ივლითის,  
ესთეტის, იობის წიგნები, ფსალმუნი, იგავთა წიგნი), ტექსტი გამოსაცემად  
მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. ღონიანშეიღმა, 1983, გვ. 237.

<sup>6</sup> „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“, ტექსტი გამოსცა და  
გამოკვლევა დაურთო ელ. იმანაშეიღმა, 1979, გვ. 267.

<sup>7</sup> შდრ. „ხალხური სიბრძნე“, დასახელებული ნაშრომი, გვ. 383.

<sup>8</sup> თ. სახუკია, ქართული ანდაზები, 1967, გვ. 174.

ლეონიძე: გზა ყივის წამავალისაო (121, 26). შდრ. გზა ყივის წამავალისა, დამწოლელისა-ლოგინით.

ან კიდევ: ცნობილ აფორისტულ თქმას, რომელსაც მწერალი ნაწილობრივ ცვლის კიდეც, ურთავს საკუთარ შეგონებას. მაგალითად:

ლეონიძე: სირცხვილი დიდი ქვა არის: სახელი არ გაასრე-სინოთ ამ ქვას (171, 6) შდრ. ცნობილი შეგონება: სირ-ცხვილი დიდი კომბალია<sup>2</sup>.

ზოგი ანდაზისათვის გიორგი ლეონიძეს დაურთავს მისამლე-რი, რომელიც შაირივითაა ჩართული თხრობაში, მაგალითად:

„...იქვე მოთამაშე ბავშვების სიახლოვეს (ციციკორე — ე. კ.) წყნარად, დანით ჩხირსა სთლიდა და თან, ვითომდა თავის-თვის, ღილინებდა:

- გინცა კაცია არანანო,
- ჩოხა ჭაჭვია თარანანო,
- ქუდი ნაბდისა, არანანო,
- ჩაბალახია!“ (170, 12)

შდრ. „ვინც რომ კაცია, ჩოხა — ჭაჭვია,  
ქუდი ნაბდისა — ჩაბალახია“<sup>3</sup>.

ამგვარი ხალხური თქმები, ლექსები, შელოცვები და შაირე-ბი სხვაცაა ჩართული მოთხრობებში. მაგალითად, უძველესი ხალხური თქმა ამინდზე (მისი უძველესობის დასტურია ზმნური ფორმა წითდა)<sup>4</sup>:

- „დილა წითდა, დამე წვიმდა,  
დამე წვიმდა, დილა — მზითა“.

ბევრი აფორისტული თქმა და მოსწრებული გამონათქვამი ავტორისეული ჩანს. მაგალითად:

<sup>1</sup> იქვე, გვ. 43.

<sup>2</sup> 3. უმიქაშეილი, დასახ. ნაშრ. გვ. 251;

ა. კანდელაკი, ქართული ანდაზები, 1959, გვ. 68.

6. ნაკაშიძე, ანდაზები, 1953, გვ. 16.

3. თ. სახოვაძე, ქართული ანდაზები, გვ. 74.

პ. უმიქაშეილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

6. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აფებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 121.

კარგი ქვა კედლიდან არ გადმოვარდებათ... (259, 13)  
შრომა, ოფლი და ამაგი ჟავებაზე შეტი სიმდიდრე-  
ათ... (102, 14)

ეშმაკის ნატეხი პური ნუ გვინდაო (102, 15)

სიბერის სილამაზე სიფაქიზეაო (166, 24)

სიცოცხლე სიკვდილის ყმა არ იქნება არასოდეს  
(145, 11)

პურადი კაცის სახელი შვილიშვილს რჩება სახელა-  
დო (248, 17)

დროს არა რჩება რა მოუშლელი (259, 13) და ა. ჭ.

გაღმოცემული ამბის ანდაზურა-აფორისტული თქმებითა და  
შეგონებებით გამდიდრება გიორგი ლეონიძის თხრობის სტილია.  
მას სხვაგვარად არც შეეძლო წერა. ხალხური სიტყვიერების წია-  
ლიდან მოპოვებული ეს მასალა თითქოს ჩახახლებული იყო მის  
სულში, საიდანაც ულევ ნაკადად მოედინებოდა მის მოთხრობებ-  
ში, როგორც „აუცილებელი ვიტამინები“<sup>1</sup>.

ამგვარი მასალის ჩართვით ავტორი, გარდა იმისა, რომ გა-  
რკვეულ მიმართულებას აძლევდა თხრობას, უჩვენებდა ხალხის  
ენამახვილობას, სიბრძნეს, ხალხური მეტყველების ხატოვანებასა  
და მოქნილობას.

## 5. მეტაფორულობა გიორგი ლეონიძის აზროვნების სტილია

ცნობილია, რომ გიორგი ლეონიძე დიდი გემოვნებით არჩევ-  
და სიტყვასაც და ფრაზასაც. აյი უთქვამს კიდეც: მე სიტყვას  
ფიზიკურად განვიცდიო. ამიტომაც, ბუნებრივია, განსაკუთრებულ  
სიამოვნებას ჰქვრიდა იმ ალერსიანი მიმართვების გახსენება,  
რომლებითაც თავადვე „დააჭილდოვა“ თავისი პერსონაჟები (დეი-  
ლა მაიკო, ლვინჯუა, ჭამპურა...). სხვაგან კი „ცივი სიტყვების“  
მოჭარბებით გაღიზიანებული მწერალი კითხულობს: „რატომ

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, გიორგი ლეონიძე ხალხურ შემოქმედებას „მწერლო-  
ბის აუცილებელ ვიტამინებს“ უწოდებდა (ნ. შამინაძე, „ამირანის მომღერალი“, „გიორგი ლეონიძე საიუბილეო კრებული, 1970, გვ. 165). ამისთან, თავადვე იყო  
ხალხური სიტყვიერების გამორჩეული მასალის მომბოვებელი და შემსწავლელ-  
გამანალიზებელი, „ქართული ხალხური საისტორიო მწერლობის“ სამიერ ტრმის  
ჩედაქტორი და სხვ.

აღარ ვალერსობთ დღეს ამ სიტყვებით? ...ჩად გავიძარცვენით, ხომ გვცივა უამსიტყვებოდ?" (გვ. 134). განსაკუთრებით არ უყვარდა სიკვდილზე ლაპარაკი და უმეტესად ამ სიტყვას ცვლილა კიდეც ხატოვანი, მეტაფორული გამოთქმებით: ჩვენი სოფლის ბურჯი, წაიქცა (182, 16). სული ჩაბარა გამჩენელს (182, 16); ლმერთს ჩაბარდა ჩვენი ციციკორე (182, 27); ერთ ღამეს თვითონაც გადამდნარიყო ოცნებაში (231, 20); ბუნებაში გადამდნარიყო უკვე ნინია (60, 22); გულზე ხელები დაეკრიფა და მიცვლილიყო (75, 19); მარიტა ზეზეურად დაღნა და მალე უთქმელი სევდით გადავიდა ეთერის ქვეპანაში (60, 22)...

ერთ-ერთ მოთხრობაში ("ჩორები") არც პირდაპირ და არც გადატანით არაა ნახსენები ჩორების წასვლა ამ ქვეყნიდან: კონტექსტით იგულისხმება მისი გარდაცვალება: „ბოლოს ლოგინში ჩაწვა და სულის დროშა დაკეცა, ჩუმად დნებოდა, ჩაწვა, ჩაიძუმდა... ვერ შეებრძოლა უცხაურ სენს, არც უნდოდა (216, 35).

ამ პასაჟს — ისე, რომ სიკვდილზე არსად არაა მინიშნებული, — მოსდევს ასეთი ფრაზა:

„შემოდგომის წვიმიან დღეს სოფლის დუქანში რამდენიმე კაცი „შესანდობარს“ სვამდა“ (217, 1).

რამდენიმე გვერდის შემდევ კი ავტორი ჩორების გარდაცვალების ამბავს, ფილოსოფიურად გააზრებულს, მეტაფორულად ასე ასრულებს:

„რატომდაც მგონია, რომ ჩორები არ არის მკვდარი. და რომ სადღაც, შავს ტყეში თუ ძველ ნანგრევში არის შეხიზნული. თითქოს მისი ხმაც კი მომენტის მკაფიოდ. ხან ბინდისას ვხედავ შარაგზაზე აჩქარებით მიმავალს, თმაღაბურდულს, აქეთ-იქით თვალის მაძვერებელს.

და ისევ წრიაღებს ჩემს ფიქრებში წარსულზე პირაკვამლული, ჩანაცრული, მწირი ჩორები, სამშობლოს დარღით მოავადე. ვერ მოესწრო ნასურვილარის გაცხადება, ვერ იხილა სამშობლო გაცისკროვნებული, არ ეღირსა თავისი ქვეყნისა და ხალხის კარგადყოფნის სიხარული.

\* \* \*

„და მე მიყვარს მისი სულის ჭალარა ყვავილი“ (219, 20).

გამოთქმები — სულის დროშა და სულის ჭაღარა ყვა-  
ნილი — ორივე სიმბოლური მნიშვნელობისაა და ჩორების ეროვ-  
ნულ სულისკვეთებას გამოხატავს.

ავტორის აზრით, სამშობლოს დარდით მოავადე ჩორები „არ არის მკვდარი“, რადგანაც თაობიდან თაობაში გადადის მისი სულიერება. ჩორებისადმი (როგორც თავისი მასწავლებლისადმი), რომელმაც „მამულის თავისუფლების აზრით“ „დააალმურა“ მისი და მისი თაობის გონება, ავტორის თანაგრძნობის გამომხატველია დასკვნითი მეტაფორული ფრაზაც: და მე მიყვარს მისი სუ-  
ლის ჭაღარა ყვავილი.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ მეტაფორულია გიორგი ლეო-  
ნიძის ენაში არა მხოლოდ ის, რაც ხალხური მეტყველების წია-  
ლიდან შეუთვისებია მას: ანდაზები, იღიომური თუ ხატოვანი სი-  
ტყვა-ტქმანი, სასაუბრო სიტყვის მასალა, ორწევრა სიტყვათშეხა-  
მების ნაწილი და სხვა, არამედ ხშირად თვით ავტორისეული  
ფრაზები და გამოთქმები, ორწევრა სიტყვათშეხამების ნაწილი  
(მთვარის კიბე, სიმღერების მწყემსი, ტყემლის ბოყვები — ასევე  
ლექსიკაც, კერძოდ, საკუთარი სახელები<sup>1</sup> (ყიჭალა, ტროყია, პირ-  
ბალიშა, ცერო, მგელხარი, ჭამბურა...) და ზოგჯერ გვარიც (მაგა-  
ლითად, ლაფაჩი)<sup>2</sup>.

ამრიგად, გიორგი ლეონიძის ფრაზა თუ წინადადება სამი  
ძირითადი თვისებით გამოიჩინება: მუსიკალურია, ხალხურია და  
მეტაფორულია (რომელმაც ერთმანეთს არ გამორიცხავენ, მე-  
ტიც, უბირატესად თანაარსებობენ); ვინერობთ, ეს თანაარსებო-  
ბაა პირობა მწერლის ხმაძალიანი, მუხლადი ქართულისა.

<sup>1</sup> რომელთაგან ზოგი ავტორის გამოგონილია და ზოგი ხალხური სიტყვიერებიდან შემოისებული.

<sup>2</sup> ლაფაჩი (ლაფაჭი) — წარმოშობით თურქული სიტყვაა, ამ მნიშვნელობით ქიზიყურში ნახმარია ლაფასი — ღმიბლასავეო, საქმის კეოება რომ უჭირს, მალე რომ იღლება, აღმართს რომ ვერ აივლის, ქშენა აუგარდება (ქიზიყ. 100).

ლაფაჩი, როგორც წარმოშობით ზედსართავი სახელი, როგორც ჩანს, თავდა-  
პირებულად იხმარებოდა მხოლოდ დუნე, ლაქარი კაცის დასახასიათებლად (ძრ. ვ. ზარნიცი: „ლაპარი ხარ, ლაფაჩი და ლუქმას ხელიდან გტალტება“; II, 73, 8), უფრო მოგვიანებით კი ეს სიტყვა მცირეოდ უკავშირდება ამ თვისების მქონე  
გვარს და კიდევ უფრო გვინდ იქცევა საკუთარ სახელად, კერძოდ — გვარად.

ვინერობთ სწორედ ამ თვისების გათვალისწინებით გამოვეთა გიორგი  
ლეონიძემ ესტატე ლაფაჩის პიროვნება.

გიორგი ლეონიძე სახეებით მოაზროვნე შემოქმედია, უფრო ზუსტად კი — მეტაფორულობა გიორგი ლეონიძის აზროვნების სტილია. იგი მწერლის პროზაში შეიძლება დახასიათდეს, როგორც მთლიანი სისტემა, რომელიც ვლინდება ენობრივი გამოხატვის ყველა დონეზე: სიტუაციების, შესიტყვების, წინადაღებისა და სინტაქსური პერიოდების დონეზე.

\* \* \*

როგორც ყველა დიდი მოაზროვნე მწერალი, ისე გიორგი ლეონიძეც თავის ნაწარმოებებში სულიერ-ზნეობრივ და ესთეტიკურ ღირებულებებს ყველაფერზე მაღლა აყენებს. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ცხოვრების აზრის, სიკეთისა და სილამაზის, ბედის საკითხები თავს იყრის ერთ-ერთი უშესანიშნავესი მოთხრობის („მარიტას“) ფინალში. ეს ნაწარმოები მთავრდება საჭირობროტო კითხვით: „მართლაც, საიდან მოდის სილამაზე ან სად მიდის? სად იყარება, თუ დროებით მოეფარება? ვინ იცის?!“ (181, 5).

ერთი შენედვით, ეს კითხვა თითქოს უბასუხოდ ჩეხება; მაგრამ კითხვას გიორგი ლეონიძე მეტაფორულად უპასუხებს: მარიტას სიკვდილის გამო „გლოვის კვამლით სოფელი გაშავდა“ (გვ. 199), „ერთი მუქა მიწის მიყრა ვერავინ გაუტედა ამ ღვთიურ სილამაზეს... ვერავინ... ვერავინ“ (იქვე).

„ხალხური ლექსი იტყოდა: მარიტას სული პეპელასავით გაფრინდა და ანგელოზები ზარის რეკვით შეეგებნენ!“

იმასაც იტყოდნენ, ზეცაში მტრედი აფრინდა მახარობლადო — მარიტა მოდისო!

საიქიოში ოქროს სკამი მიართვეს დაღლილსაო.

ღვთიშობელს ეთქვა თურმე: ფერზე გატყობა ძლიერ დაღლილი ხარ, დაზე, შვილო, შორიდან მომავალი ხარო!

იესო ქრისტემ კი ხელმანდილი ამოიღო, შებღწე უნდა მოესვა, გაეცოცხლებინა, მაგრამ ისეთი ლამაზი იყოო, მიწაზე დასაბრუნებლად ვერ გაიშეტაო. მოინდომა, რომ სულ გვერდით ჰყოლოდა. ახლაც გვერდით ჰყავსო, ვარსკვლავადო“ (199-200).

ავტორის აზრით, სილამაზე ღვთით ბოძებული საჩუქარია, ღვთიური მაღლია და ისევ ღმერთს უბრუნდება, რომელიც სილამაზეს მუდმივად ახლებს. ამიტომ მარადიულია იგი.

ალავარდნილი ბროწეულის სახით მარიტას ღვთაებრივი

სილამაზე უბრუნდება დედამიწას. ავტორი წერს: „...ცეცხლისფრიანი ბრძოლის ყვავილი მიღმოდა მარიტას სახესავით ალაკრული.

ვუურებდი მხიარულ მზიან ყვავილს და არა მჯეროდა, რომ მარიტა აღარ ამშვენებდა დედამიწას! არც ის მეჯერებოდა, რომ ამ მტკვრსა და ნაგავში (იმ საზოგადოებასავით, რომელ-შიაც მარიტა ცხოვრობდა — ე. კ.) ასეთი ბრწყინვალე ყვავილი-ანი ხე ამოსულიყო თავისით” (გვ. 200-201).

სათქმელისა და მის გამოსახვის მეტაფორულ საშუალებათა ამგვარი სინთეზი და ურთიერთგამჭოლი ხასიათი თითქმის შეუძლებელს (და იქნებ ამიტომაც ზედმეტს) ხდის შემდგომ ლინგვისტურ დეტალიზაციის, რამდენადაც უსაზღვროდ აფართოებს კვლევის ჩარჩოებს და ლიტერატურათმცოდნეობით-ესთეტიკური და ფილოსოფიური განხილვის მიზნასთან მივყავართ. ჩვენც აქ შევჩერდებით.

### შემოკლებათა განმარტება:

#### გვ. — გვერდი

არ. მარტ., გრ. იმნ. კახურის მასალები — ალექსანდრე ლლონტის, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“, 1975.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი, IV<sub>1</sub>-IV<sub>2</sub>, (ავტორისეული ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა, ილ. აბულაძემ), 1965-1966.

თ. სახოკია — თეოო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1979.

#### ფშ. — ფშაური.

ი. ქეშიკ., ღღ. — ალექსანდრე ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, 1975 (მასალა დამოწმებულია ივანე ქეშიკშვილის მიხედვით).

ქიზიყ. — ქიზიყური ლექსიკონი, შედგენილი სტეფანე შენთეშაშვილის მიერ (ვარლამ თოფურიას რედაქციით), 1943.

ა. ღღ. — ალექსანდრე ლლონტი, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, 1975.

#### შლრ. — შეადარე.

რუსთაველი — შოთა რუსთაველი, „ველხისტყაოსანი“, მესამე სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლოსიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ (რედაქტორი ალ. ჭინჭარაული), 1988.

#### ხალხ. — ხალხური.